

შპს “ნობლექსი”

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
31 დეკემბერი 2018

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში.....	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2-5

ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	10-29
მმართველობითი ანგარიშგება	30 -38

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს “ნობლექსის” (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული მსს ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები მსს ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი	ალექსანდრე ედიბერიძე	_____
ფინანსური დირექტორი	ნელი ხმელიძე	_____
ფინანსური მენეჯერი	ნინო კაპანაძე	_____

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ნობლექსის“ დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ნობლექსის“ თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს (შემდგომში - „ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველის აბზაცში ასახული საკითხის შესაძლო ეფექტისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

გამომდინარე იქიდან რომ, ჩვენ დავინიშნეთ კომპანიის აუდიტორებად 2017 წლის 31 დეკემბრის შემდგომ პერიოდში, ჩვენ ვერ შევძელით დავკვირვებოდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციას. ალტერნატიული პროცედურების ჩატარების შემდეგ ჩვენ ვერ დავრწმუნდით 2017 წლის ბოლოს არსებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების რაოდენობის სისწორეში. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ სასაქონლო მატერიალური ფასეულობების 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ნაშთის არსებითი ნაწილი რჩება 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მარაგების ნაშთში, ჩვენთვის შეუძლებელი იყო იმის განსაზღვრა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კომპანიის მიმდინარე ოპერაციებზე ან საწყისი პერიოდის დაგროვილ მოგებაზე. აღნიშნული ფაქტის შესაძლო არსებითი ეფექტის გამო კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება სასაქონლო მატერიალური ფასეულობების საწყის ნაშთსა და 2018 წლის 31 დეკემბრით არსებული ნაშთის 1,987,137 ლარზე მოდიფიცირებულია.

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ბასს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად „სადაც და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიში მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მიხედვით მმართველობით ანგარიშზე.

მენეჯმენტი პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე რომელიც წარმოდგენილია აუდირებულ ფინანსური ანგარიშგებასთან ერთად. ზემოთხსენებული კანონის მიხედვით მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგი ინფორმაცია:

- სუბიექტის განვითარების გეგმები;
- სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა;
- სუბიექტის ფილიალების საქმიანობა;
- სუბიექტის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ;
- საკუთარი აქციების შეძენის შესახებ მოკლე ინფორმაცია;
- ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნების და პოლიტიკა;
- საჭიროების შემთხვევაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მყოფი სხვა ინფორმაცია
- ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე ტიპის მოსაზრებას მმართველობით ანგარიშთან („სხვა ინფორმაცია“) დაკავშირებით. ჩვენი, როგორც აუდიტორების, პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რომ:
- გავცენოთ სხვა ინფორმაციას და შევაფასოთ რამდენად არსებითად თანმიმდევრულია სხვა ინფორმაცია 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლით წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- წარმოდგენილია თუ არა მმართველობით ანგარიშში ყველა ის ინფორმაცია რაც განსაზღვრულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

სხვა გარემოებათა აბზაცი

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის“ შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად კომპანიამ მოამზადა მმართველობითი ანგარიში, რომელიც წარმოდგენილია ამ ფინანსურ ანგარიშგებებთან ერთად. ჩვენს მიერ ჩატარებული პროცედურების შედეგად არ გამოვლენილა არსებითი ცდომილება და მართველობითი ანგარიში მომზადებულია მენეჯმენტის მიერ და განხილულია აუდიტორის მიერ ამ აუდიტორული დასკვნის ზემოთ მოცემულ „აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით“ აბზაცის შესაბამისად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განხრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს კომპანიის ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ ფინანსური ანგარიშგების შესახებ, ჩვენ ვართ პასუხისმგებლები კომპანიის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

30 სექტემბერი 2019

არესემ საქართველო

მმართველი პარტნიორი გიორგი კვინიკაძე

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი	13	42,818,898	25,894,673
უკან დაბრუნება და ფასდათმობა	14	(153,884)	(63,510)
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	(31,503,713)	(18,918,502)
მომხმარებლისგან უკანდაბრუნება		-	45,571
საერთო მოგება		11,161,301	6,958,232
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	16	(4,250,596)	(3,291,967)
რეალიზაციის ხარჯი	17	(233,632)	(288,505)
საოპერაციო მოგება		6,677,073	3,377,760
ფინანსური შემოსავალი	18	138,553	31,589
სხვა საოპერაციო შემოსავალი	19	2,088,455	975,359
ფინანსური ხარჯი	11	(439,491)	(507,654)
არასაოპერაციო შემოსავალი		44,835	146,995
არასაოპერაციო ხარჯი		-	(146,860)
კურსთაშორის სხვაობით გამოწვეული ზარალი	20	(9,611)	(366,248)
მოგება დაბეგვრამდე		8,499,814	3,510,941
მოგების გადასახადი	10	-	-
წმინდა მოგება		8,499,814	3,510,941
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		8,499,814	3,510,941

დირექტორი

ალექსანდრე ედიბერიძე

ფინანსური დირექტორი

ნელი ხმელიძე

ფინანსური მენეჯერი

ნინო კაპანაძე

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	10,927,273	8,602,940
არამატერიალური აქტივები	7	156,558	58,115
ბიოლოგიური აქტივები	8	97,968	85,835
სულ გრძელვადიანი აქტივები		11,181,799	8,746,890
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	3	762,166	12,771,568
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	6,210,502	4,973,802
მარაგები	4	11,470,244	8,339,398
სულ მოკლევადიანი აქტივები		18,442,912	26,084,768
სულ აქტივები		29,624,711	34,831,658
კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		22,607,450	14,107,636
სულ კაპიტალი	9	22,609,450	14,109,636
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	2,730,247	1,971,240
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,730,247	1,971,240
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	849,536	10,638,205
მოკლევადიანი სესხები	11	3,435,478	8,112,577
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4,285,014	18,750,782
სულ ვალდებულებები		7,015,261	20,722,022
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		29,624,711	34,831,658

დირექტორი	ალექსანდრე ედიბერიძე	_____
ფინანსური დირექტორი	ნელი ხმელიძე	_____
ფინანსური მენეჯერი	ნინო კაპანაძე	_____

ქართულ ღარში

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		2,000	10,596,695	10,598,695
წლის მოგება		-	3,510,941	3,510,941
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		2,000	14,107,636	14,109,636
წლის მოგება		-	8,499,814	8,499,814
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		2,000	22,607,450	22,609,450

ფინანსური მენეჯერი ნიწო კაპანაძე

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება/ზარალი დაბეგვრამდე:		8,499,814	3,510,941
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	6-7	535,434	480,388
უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან მიღებული წმინდა ზარალი	20	9,611	366,248
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული მოგება/ზარალი		-	(46,037)
ცვლილება გაუფასურების რეზერვში	5	133,177	-
საპროცენტო ხარჯი	11	439,451	507,654
ცვლილებები საოპერაციო აქტივებში და ვალდებულებებში:			
ზრდა/კლება მარაგებში	4	(3,268,547)	(2,364,598)
ზრდა/კლება ბიოლოგიურ აქტივებში	8	(12,133)	(58,100)
ზრდა/კლება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	5	(1,236,771)	(685,732)
ზრდა/კლება მიღებულ სესხებში	11	(3,639,992)	2,995,703
ზრდა/კლება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	12	(9,928,669)	9,303,909
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული ფულადი სახსრები		(8,468,625)	14,010,376
გადახდილი პროცენტი	11	(449,812)	(482,093)
გადახდილი მოგების გადასახადი	10	-	-
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		(8,918,437)	13,528,283
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალების გაყიდვა	6	-	108,989
ძირითადი საშუალები შეძენა	6	(2,684,639)	(1,163,214)
არამატერიალური აქტივების შეძენა	7	(135,870)	(49,423)
არამატერიალური აქტივების ჩანაცვლება	7	-	2,890
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი		(2,820,509)	(1,100,758)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საფინანსო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		-	-
ფული და ფულის ექვივალენტები			
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3	12,771,568	314,414
წმინდა ზრდა წლის განმავლობაში		(11,738,946)	12,427,525
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	20	(270,456)	29,629
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3	762,166	12,771,568

დირექტორი

ალექსანდრე ედიბერიძე

ფინანსური დირექტორი

ნელი ხმელიძე

ფინანსური მენეჯერი

ნინო კაპანაძე

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „ნობლექსი“ (შემდგომში „კომპანია“), საიდენტიფიკაციო ნომრით 204471561 დარეგისტრირდა საქართველოში, თბილისში 2005 წლის 24 თებერვალს. კომპანიის იურიდიული მისამართია კახეთის გზატკეცილი N155, თბილისი, საქართველო. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკისა და დამხმარე პროდუქციის რეალიზაცია, კომპანია ოპერირებს საქართველოს ტერიტორიაზე.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ორგანიზაციაში დასაქმებულთა რიცხვი შეადგენდა 123 (2017: 94) თანამშრომელს.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის დამფუძნებელ პარტნიორთა შორის წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

მესაკუთრე	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ალექსანდრე ედიბერიძე	100%	100%

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად მენეჯმენტმა გამოიყენა სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო ცოდნა და სააღრიცხვო პოლიტიკა რომლის მიხედვითაც მომზადდა მსს ფასს სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი ფინანსური ანგარიშგა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუკოს (ბასსს) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანია იყენებს ისტორიული ღირებულების პრინციპს, სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკა და გამოყენებული პრინციპები წარმოდგენილია ქვემოთ.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია მსს ფასს-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. ორგანიზაციის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

ორგანიზაცია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. მენეჯმენტის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ინფორმაციის კლასიფიცირება ხდება მიმდინარე და გრძელვადიანობის საფუძველზე.

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

შეფასების საფუძველი

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთას, ასევე, არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვს შორის სხვაობით. ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების ღირებულებისა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით შემდეგნაირად:

შენობები	30 - 50 წელი
ნაგებობები	10 - 20 წელი
მანქანა დანადგარები	8 - 15 წელი
სასოფლო სამეურნეო ტექნიკა და სხვა საშუალებები	7 - 18 წელი
ოფისის აღჭურვილობა	2 - 10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3 - 10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 - 10 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	3 - 5 წელი

თუ არსებობს ძირითადი საშუალებების ცვეთის განაკვეთის, სასარგებლო მომსახურების ვადის ან ნარჩენი ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილების ინდიკაცია, ახალი მოლოდინების ასახვის მიზნით, ცვეთის დარიცხვის ცვლილება აისახება არარეტროსპექტულად.

ძირითადი საშუალების რეალიზაციით წარმოქმნილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა მიღებულ საფასურსა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და მიეკუთვნება „სხვა შემოსავლებს“ ან „სხვა საოპერაციო ხარჯებს“.

არამატერიალური აქტივები

საოპერაციო კომპიუტერული პროგრამები წარმოდგენილია თვითღირებულებასა და დაგროვილ ამორტიზაციას, ასევე, არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვს შორის სხვაობით. ამორტიზაცია ხდება მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების შვიდ წლამდე ვადის განმავლობაში, წრფივად წლიური 15%-იანი განაკვეთით. თუ არსებობს აქტივის ამორტიზაციის განაკვეთის, სასარგებლო მომსახურების ვადის ან ნარჩენი ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილების ნიშანი, ახალი მოლოდინების ასახვის მიზნით, ამორტიზაციის დარიცხვის ცვლილება აისახება არარეტროსპექტულად.

კომპანიის არამატერიალური აქტივები ასევე მოიცავს ლიცენზიას „კრედიტინფოს“ სახელისა და ლოგოს გამოყენებაზე. ვინაიდან აღნიშნული ლიცენზია არის განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე, სასარგებლო მომსახურების ვადად მიიჩნევა 10 წელი (წლიური 10%-იანი განაკვეთი).

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურების ინდიკაცია. თუ ამგვარი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს აქტივის (აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის ნარჩენ ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ არაფინანსური აქტივის, გარდა გუდვილისა, გაუფასურების ზარალი მცირდება, აქტივის (აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება ახალ მოსალოდნელ ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ არაუმეტეს იმ ღირებულებისა, რომელიც ამ აქტივს ექნებოდა, რომ არ მომხდარიყო ამ აქტივისათვის (აქტივთა ჯგუფისათვის) გაუფასურების ზარალის აღიარება წინა წლებში. გაუფასურების ზარალის შემცირება აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. მოთხოვნებს არ ერიცხება სარგებელი. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებებს, რათა განსაზღვროს, ხომ არ არსებობს აქტივის გაუფასურების რაიმე ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურების შემთხვევაში გაუფასურების ზარალი აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (მოიცავს გარიგების ხარჯებს). სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება სარგებელი. პროცენტის ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს აქტივებს, რომელთა გადაცვლა ფულზე წინასწარ ცნობილი ოდენობით შესაძლებელია დაუბრკოლებლად და ამასთან, მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

ანარიცხები და პირობითი აქტივები/ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ როდესაც, კომპანიას წარსული მოვლენების შედეგად საღირცხვო პერიოდისათვის აქვს ვალდებულება. შესაძლოა კომპანიის მიმართ გაჩნდეს მოთხოვნა, რომ გადაიტანოს თავისი ეკონომიკური სარგებელი და ვალდებულების მოცულობა შესაძლოა შეფასდეს საიმედოდ. ანარიცხები იზომება პრე- საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით ვალდებულების შესასრულებლად საჭირო მოცულობის დღევანდელ ღირებულებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და კონკრეტული ვალდებულების რისკებს. ანარიცხების ზრდა, დროის გასვლის გამო, აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი. ანარიცხების აღიარება არ ხდება მომავალ საოპერაციო დანაკარგებზე. პირობითი ვალდებულებები და აქტივები არ აღიარდება.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება - საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი, სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, პირდაპირ სახელფასო დანახარჯებთან, საწყობის ცვეთასთან. სოფლის მეურნეობის პროდუქცია აღიარდება სასაქონლო მატერიალური მარაგებში თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

ბიოლოგიური აქტივები

კომპანია ბიოლოგიურ აქტივს და სოფლის მეურნეობის პროდუქციას აღიარებს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- კომპანია აკონტროლებს ამ აქტივს წარსული მოვლენების შედეგად;
- მოსალოდნელია ამ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა, და
- შესაძლებელია აქტივის რეალური ღირებულების ან თვითღირებულების საიმედოდ შეფასება, მიზანშეწონილი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე.

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

გაცემული სესხები და მოთხოვნები. სესხები და მოთხოვნები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე. კლიენტებზე გაცემული სესხები და მოთხოვნები აღირიცხება, როდესაც კომპანია გასცემს თანხას კლიენტზე არაკოტირებული არადერივატიული დებიტორული დავალიანების შესყიდვის ან წარმოქმნის მიზნით, რომელიც გადასახდელია დადგენილ ან განსაზღვრულ ვადებში და არ აქვს დებიტორული დავალიანების გაყიდვის განზრახვა. გაცემული სესხები და მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

შემოსავლის აღიარება

(ა) შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, შემოსავლები წარმოდგენილია ფასდაკლებებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით.

(ბ) საპროცენტო შემოსავლები საბანკო დეპოზიტებიდან

საბანკო დეპოზიტებიდან გამომუშავებული საპროცენტო შემოსავლების გაანგარიშება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება საკასო მეთოდით საბანკო ანგარიშზე შესაბამისი თანხის მიღების მომენტისათვის.

საოპერაციო ხარჯები

(ა) თანამშრომელთა სახელფასო და სხვა სარგებელი

დარიცხული ხელფასის, ბონუსების და არაფულადი სარგებლის (დაზღვევა) დარიცხვა ხდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც თანამშრომლების მიერ გაიწევა შესაბამისი მომსახურება. კომპანიას არ აქვს შრომითი საქმიანობის შემდგომი ვალდებულებები.

(ბ) იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახდელები აღიარდება წრფივი მეთოდით, კონტრაქტით გათვალისწინებული იჯარის ვადის განმავლობაში

სესხის ხარჯები

სესხები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახურლი შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

**საქართველოს ეროვნული ბანკის
ოფიციალური გაცვლითი კურსი**

	აშშ დოლარი	ევრო	ფუნტი სტერლინგი
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6766	3.0701	3.3955
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.5922	3.1044	3.5005
საშუალო გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2.5345	2.9913	3.3812
საშუალო გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2.5095	2.8322	3.2315

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის.

მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, მოგების გადასახადი წარმოიშვება არა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გამომჟღავნებულ მოგებაზე, არამედ მოგებაზე რომლის განაწილებაც მოხდება დივიდენდებზე. დივიდენდის განაწილებისას გადასახდელი მოგების გადასახადის ოდენობა განისაზღვრება განაწილებული მოცულობის 15/85-ით. დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადის აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად იმისა, თუ როდის მოხდება საბოლოოდ დივიდენდების გაცემა.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

სააქციო კაპიტალი, საემისიო კაპიტალი, სახაზინო აქციები და გადასახდელი დივიდენდები

ჩვეულებრივი აქციები კაპიტალში აღიარებულია ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება, როგორც „სააქციო კაპიტალი“. აქციების გამოშვებისას ნომინალური ღირებულების ზემოთ მიღებული თანხები კაპიტალში კლასიფიცირდება, როგორც „საემისიო კაპიტალი“.

კომპანიის საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტების ღირებულება, რომელიც მან გამოისყიდა კლასიფიცირდება როგორც „სახაზინო აქციები“, იგი ამცირებს კაპიტალს და ამგვარადაა წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. როდესაც სახაზინო აქციები გაყიდულია ან თავიდან გამოშვებული, ისინი მიეკუთვნება კაპიტალს. შედეგად, სრული შემოსავლის ანგარიშგება არ მოიცავს სახაზინო აქციების მოგებას ან ზარალს.

გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება.

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

3 ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	12,780	12,462
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	736,342	2,860,051
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	8,468	16,921
ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში	4,576	6,346
ბლოკირებული თანხები ბანკში უცხოურ ვალუტაში	-	6,581,328
ბლოკირებული თანხები ბანკში ეროვნულ ვალუტაში	-	3,294,460
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	762,166	12,771,568

კომპანიას სს ბაზის ბანკში ანაბარზე განთავსებული აქვს ფულადი სახსრები ლარში, დოლარსა და ევროში.

სს "ბაზის" ბანკში არსებულ ლარის დეპოზიტს საპროცენტო შემოსავალი ერიცხება 4%-ით რამაც 2018 წლის განმავლობაში შეადგინა 39,621 ლარი. დოლარში განთავსებულ დეპოზიტს საპროცენტო შემოსავალი ერიცხება წლიური 1,75%-ით 3,853 ლარის ოდენობით ხოლო ევროში განთავსებულ დეპოზიტს საპროცენტო შემოსავალი ერიცხება წლიური 0,5%-ით 11,010 ლარის ოდენობით.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს "ფინკა ბანკი საქართველოში" საპროცენტო შემოსავალი ერიცხება ლარსა და ევროში განთავსებულ დეპოზიტებს. სს"ფინკა ბანკი საქართველოში" არსებული ლარის დეპოზიტს საპროცენტო შემოსავალი ერიცხება წლიური 5,64%-ით 1,047 ლარის ოდენობით, ხოლო სს"ფინკა ბანკი საქართველოში" არსებულ ევროს დეპოზიტს საპროცენტო შემოსავალი ერიცხება წლიური 0,1%-ით 167 ლარის ოდენობით.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მდგომარეობით ფული და ფულის ექვივალენტები ეროვნულ ვალუტაში, მოიცავს ბაზის ბანკში განთავსებულ ბლოკირებულ ფულად სახსრებს 3,294,460 ლარის, ხოლო უცხოურ ვალუტაში განთავსებული ფულად სახსრებს 6,581,328 ლარის ოდენობით. აღნიშნულ თანხები ხელმისაწვდომი გახდა მას შემდეგ, რაც კომპანიამ შეასრულა 2017 წელს გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოს მიმართ და მიაწოდა 9,444,464 ლარის ღირებულების 209,870 ლიტრი ინსექტიციდი.

4 მარაგები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
მასალები	10,972,628	8,334,526
მარაგები გზაში	338,093	-
დაუმთავრებელი წარმოება	136,574	489
სხვა მარაგები	22,949	4,383
სულ მარაგები	11,470,244	8,339,398

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

ქვემოთ წარმოდგენილია მასალების დეტალური ჩაშლა:

მასალები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
მცენარეთა დაცვა	2,678,532	2,584,131
სპეც-ტექნიკა და აღჭურვილობის ნაწილები	3,339,213	2,336,015
სასუქები	1,880,373	1,297,421
სათესლე მასალა	1,386,281	649,611
სათბურის აღჭურვილობა	897,139	182,597
სარწყავი სისტემები	413,662	433,858
სხვა	377,428	850,893
სულ მასალები:	10,972,628	8,334,526

მარაგები გზაში მოიცავს კომპანიის მიერ უცხოური მომწოდებლებისგან შესყიდულ მარაგებს. აღნიშნული მომწოდებლები კომპანიასთან თანამშრომლობენ ინკოთერმსის EXW პირობით დარეგულირებული ხელშეკრულების საფუძველზე, რაც გულისხმობს მყიდველისთვის ყველა რისკისა და ხარჯის დაკისრებას საქონლის გამყიდველისგან დანიშნულების ადგილზე მიტანამდე.

5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო მოთხოვნები	3,511,694	4,148,045
ავანსები	2,356,446	828,713
მოთხოვნები ბიუჯეტის მიმართ	480,536	-
სხვა მოთხოვნები	5,520	7,561
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,354,196	4,984,319
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(143,694)	(10,517)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,210,502	4,973,802

გაუფასურების ანარიცხის მოძრაობა წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდგენიარად:

	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სულ
31 დეკემბერი 2016	-	-
შემცირება წლის განმავლობაში	-	-
დარიცხვა წლის განმავლობაში	10,517	10,517
31 დეკემბერი 2017	10,517	10,517
შემცირება წლის განმავლობაში	-	-
დარიცხვა წლის განმავლობაში	133,177	133,177
31 დეკემბერი 2018	143,694	143,694

ავანსები მოიცავს სასაქონლო მატერიალური ფასეულობებისათვის გადახდილ 1,443,768 ლარს (2017: 622,687 ლარი), ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილ 375,565 ლარს (2017: 60,000 ლარი) და სხვა წინასწარ გადახდებს 537,113 ლარს (2017: 146,026 ლარი).

მოთხოვნები ბიუჯეტის მიმართ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება: სამემოსავლო გადასახადის ვალდებულება 44,191 ლარი; დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივი 474,897 ლარი; ქონების გადასახადის ვალდებულება 50,500 ლარი და მოგების გადასახადის აქტივი 100,330 ლარი.

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

6 ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	ძირითადი საშუალებები ექსპ. შესვლამდე	დაუმთავრებელი მშენებლობა	ავეჯი და ინვენტარი	მანქანა დანადგარები და აღჭურვილობა	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სასოფლო სამეურნეო ტექნიკა და სხვა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
თვითღირებულება											
2016 წლის 31 დეკემბერი	2,375,586	1,694,661	-	1,818,222	603,859	412,444	159,570	858,431	877,703	49,058	8,849,534
შეძენა	182,108	466,004	-	130,233	138,561	60,625	21,494	66,914	93,650	3,626	1,163,215
შიდა მოძრაობა	-	-	-	109,244	-	-	225	-	80,809	-	190,278
მარაგებიდან	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
შიდა მოძრაობა	-	1,829,304	-	-	-	-	-	-	38,358	-	1,867,662
გაყიდვა	(684)	-	-	-	(13,065)	(15,965)	(11,660)	(16,362)	(95,385)	-	(153,121)
შიდა მოძრაობა	-	-	-	(1,867,662)	-	-	-	-	-	-	(1,867,662)
2017 წლის 31 დეკემბერი	2,557,010	3,989,969	-	190,037	729,356	457,104	169,628	908,983	995,135	52,684	10,049,906
შეძენა	1,145	28,424	317,023	996,902	351,690	69,047	130,399	652,891	7,959	129,159	2,684,639
შიდა მოძრაობა	-	-	-	138,110	-	-	-	-	-	-	138,110
მარაგებიდან	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ჩამოწერა	-	-	-	(300)	-	-	(780)	-	-	-	(1,080)
2018 წლის 31 დეკემბერი	2,558,155	4,018,394	317,023	1,324,749	1,081,046	526,150	299,247	1,561,874	1,003,094	181,843	12,871,575
ცვეთა და ამორტიზაცია											
2016 წლის 31 დეკემბერი	-	(259,583)	-	-	(123,895)	(164,259)	(63,058)	(214,785)	(240,648)	(27,129)	(1,093,357)
ცვეთა წლის მანძილზე	-	(75,864)	-	-	(78,798)	(55,210)	(28,040)	(81,595)	(113,844)	(10,427)	(443,778)
გაყიდილი აქტივის ცვეთა	-	-	-	-	13,065	12,060	11,660	15,197	38,187	-	90,169
2017 წლის 31 დეკემბერი	-	(335,447)	-	-	(189,628)	(207,409)	(79,438)	(281,183)	(316,305)	(37,556)	(1,446,966)
ცვეთა წლის მანძილზე	-	(66,074)	-	-	(100,566)	(55,661)	(36,608)	(116,445)	(110,333)	(12,319)	(498,006)
გაყიდილი აქტივის ცვეთა	-	-	-	-	-	-	670	-	-	-	670
2018 წლის 31 დეკემბერი	-	(401,521)	-	-	(290,194)	(263,070)	(115,376)	(397,628)	(426,638)	(49,875)	(1,944,302)
წმინდა საბალანსო ღირებულება											
2016 წლის 31 დეკემბერი	2,375,586	1,435,078	-	1,818,222	479,965	248,185	96,512	643,646	637,054	21,929	7,756,177
2017 წლის 31 დეკემბერი	2,557,010	3,654,522	-	190,037	539,728	249,695	90,190	627,800	678,830	15,128	8,602,940
2018 წლის 31 დეკემბერი	2,558,155	3,616,872	317,023	1,324,748	790,852	263,080	183,871	1,164,246	576,458	131,968	10,927,273

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

2018 წლის განმავლობაში სრულად ამორტიზირებული სატრანსპორტო საშუალებების ღირებულებამ შეადგინა 79,886 ლარი (2017 - 75,886 ლარი), ავეჯი და სხვა ინვენტარის ღირებულებამ 1,422 ლარი (2017 - 1,000 ლარი), ოფისის აღჭურვილობის ღირებულებამ 25,829 ლარი (2017 - 2,834 ლარი), სერვისის ხელსაწყოების ღირებულებამ 32,281 ლარი და სხვა ძირითადი საშუალებების ღირებულებამ 5,474 ლარი (2017 – 102 ლარი).

2018 წლის განმავლობაში კომპანიამ გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში დაარიცხა ცვეთის ხარჯი 15,759 ლარი (2017: 19,346 ლარი)

7 არამატერიალური აქტივები

	ლიცენზიები	სხვა არამატერიალური აქტივი	არამატერიალური აქტივები ექსპლოატაციაში შესვლამდე	სულ
საბალანსო ღირებულება				
2016 წლის 31 დეკემბერი	31,398	47,287	-	78,685
შემენა	43,170	6,253	-	49,423
გაყიდვა	-	(5,132)	-	(5,132)
2017 წლის 31 დეკემბერი	74,568	48,408	-	122,976
შემენა	24,701	-	111,169	135,870
გაყიდვა	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	99,269	48,408	111,169	258,846
ამორტიზაცია და გაუფასურება				
2016 წლის 31 დეკემბერი	(13,629)	(16,863)	-	(30,492)
ამორტიზაციის ხარჯი	(32,893)	(3,717)	-	(36,610)
გაყიდულისა და ჩამოწერილის ამორტიზაცია	-	2,242	-	2,242
2017 წლის 31 დეკემბერი	(46,522)	(18,338)	-	(64,860)
ამორტიზაციის ხარჯი	(30,818)	(6,610)	-	(37,428)
გაყიდულისა და ჩამოწერილის ამორტიზაცია	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	(77,340)	(24,948)	-	(102,288)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
2016 წლის 31 დეკემბერი	17,769	30,423	-	48,192
2017 წლის 31 დეკემბერი	28,046	30,069	-	58,115
2018 წლის 31 დეკემბერი	21,929	23,460	111,169	156,558

კომპანია ფლობს შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებს: „1C“, „bpm online“.

2018 წლის განმავლობაში სრულად ამორტიზირებული არამატერიალური აქტივების ჯამურმა ღირებულებამ შეადგენდა 72,073 ლარი (2017 – 14,246 ლარი)

8 ბიოლოგიური აქტივები

	მზარდი ნამყენი	მსხმოიარე ნამყენი	სულ
საბალანსო ღირებულება			
2016 წლის 31 დეკემბერი	27,735	-	27,735
შესყიდვა	76,125	-	76,125
მზარდი ნამყენიდან მსხმოიარეში გადასვლა	(27,735)	27,735	-
გაუფასურება	(18,025)	-	(18,025)
2017 წლის 31 დეკემბერი	58,100	27,735	85,835
შესყიდვა	1,100	-	1,100
მზარდი ნამყენიდან მსხმოიარეში გადასვლა	(58,100)	58,100	-
გაუფასურების აღდგენა	11,033	-	11,033
2018 წლის 31 დეკემბერი	12,133	85,835	97,968

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

2018 წელს კომპანიის მიერ მსხმოიარე ნამყენებისაგან მიღებული მოსავლის რეალიზაციიდან გამომჟღავნებულმა შემოსავალმა შეადგინა 50,058 ლარი (2017 - 20,993 ლარი).

9 კაპიტალი

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ალექსანდრე ედიბერიძე.

2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით მფლობელთა კაპიტალი 2,000 ლარს (2017: 2,000). კომპანიის დამფუძნებლის მიერ კაპიტალში პირველადი შეტანა განხორციელდა 2005 წლის 16 თებერვალს. კაპიტალში შეტანილ იქნა ძირითადი საშუალებები რომელთა ღირებულება განისაზღვრა დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ კაპიტალში შეტანის თარიღში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებულმა გაუნაწილებელმა მოგებამ შეადგინა 22,607,450 ლარი (2017: 14,107,636 ლარი)

10 მოგების გადასახადი

კომპანიის მოგების გადასახადმა საანგარიშგებო პერიოდში შეადგინა 0 ლარი (2017: 0 ლარი)

2016 წლის 13 მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა, საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები კორპორაციული მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ, (ცნობილი, როგორც კორპორაციული საგადასახადო სისტემის ესტონური მოდელი), რომლის მიხედვითაც, დაბეგვრის მომენტი არის შემოსავლის მიღებიდან მის განაწილებამდე. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულების აღიარება რომელიც შემოსავლის განაწილების შედეგად წარმოიქმნება, არ მოხდება ფინანსურ ანგარიშგებაში.

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა დღგ-სთან დაკავშირებით დაამტკიცა, საქართველოს საგადასახადო კოდექსში სხვა ცვლილებები. 2017 წლის 1 იანვრიდან, დღგ-ით დაბეგვრას დაექვემდებარა საქონლის ან მომსახურების შემძენისაგან მიღებული ავანსები.

11 მიღებული სესხები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
მოკლევადიანი სესხები	3,435,478	8,112,577
გრძელვადიანი სესხები	2,730,247	1,971,240
სულ	6,165,725	10,083,817

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

მოკლევადიანი სესხები	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ძირის გადახდის პერიოდულობა	პროცენტის გადახდის პერიოდულობა	ვალუტა	თანხა ლარში
ხელშეკრულება N 2017-12-14/0074/CLN/062464/021	12/15/2017	12/15/2019	6.5%	განაღების თარიღში	ყოველთვიური	ევრო	3,134,572
ხელშეკრულება N 2017-12-14/0075/BSN/062464/022	12/15/2017	9/12/2023	6.5%	ყოველთვიური	ყოველთვიური	ევრო	110,734
ხელშეკრულება N 2018-04-13/0039/APMA3/062461/029	4/13/2018	10/13/2023	11.5%	ყოველთვიური	ყოველთვიური	ლარი	174,973
სულ მოკლევადიანი სესხები							3,420,278
გადასახდელი ძირი							3,420,278
გადასახდელი პროცენტი							15,200
სულ მოკლევადიანი სესხები							3,435,478

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

მოკლევადიანი სესხები	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ძირის გადახდის პერიოდულობა	პროცენტის გადახდის პერიო- დულობა	ვალუტა	თანხა ლარში
ხელშეკრულება N 2017-12-02/0028/DEPB/062464/020	4/12/2017	4/3/2018	3.5%	განაღების თარიღში	ყოველთვიური	ევრო	1,556,221
ხელშეკრულება N 2017-12-14/0074/CLN/062464/021	15/12/2017	15/12/2018	6.5%	განაღების თარიღში	ყოველთვიური	ევრო	6,223,706
ხელშეკრულება N 2017-12-14/0075/BSN/062464/022	15/12/2017	9/12/2023	6.5%	ყოველ-თვიური	ყოველთვიური	ევრო	332,650
სულ მოკლევადიანი სესხები							8,112,577
გადასახდელი ძირი							8,087,016
გადასახდელი პროცენტი							25,561
სულ მოკლევადიანი სესხები							8,112,577

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

გრძელვადიანი სესხები	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ძირის გადახდის პერიოდულობა	პროცენტის გადახდის პერიოდულობა	ვალუტა	თანხა ლარში
ხელშეკრულება N 2017-12-14/0075/BSN/062464/022	12/15/2017	9/12/2023	6.5%	ყოველთვიური	ყოველთვიური	ევრო	1,838,722
ხელშეკრულება N 2018-04-13/0039/APMA3/062461/029	4/13/2018	10/13/2023	11.5%	ყოველთვიური	ყოველთვიური	ლარი	891,525
სულ გრძელვადიანი სესხები							2,730,247
გადასახდელი ძირი							2,730,247
გადასახდელი პროცენტი							-
სულ გრძელვადიანი სესხები							2,730,247

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

გრძელვადიანი სესხები	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ძირის გადახდის პერიოდულობა	პროცენტის გადახდის პერიოდულობა	ვალუტა	თანხა ლარში
ხელშეკრულება N 2017-12-14/0075/BSN/062464/022	15/12/2015	9/12/2023	6.5%	ყოველთვიური	ყოველთვიური	ევრო	1,971,240
სულ გრძელვადიანი სესხები							1,971,240
გადასახდელი ძირი							1,971,240
გადასახდელი პროცენტი							-
სულ გრძელვადიანი სესხები							1,971,240

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

სესხის ხელშეკრულება N 2017-12-14/0075/BSN/062464/022, რომელიც გაფორმებულია კომპანიასა და სს ბაზის ბანკს შორის, წარმოადგენს სესხს, რომელიც ძალაშია 2023 წლის 9 დეკემბრამდე. 2018 წლის 31 დეკემბრისთვის ვალდებულება შეადგენდა 1,949,456 ლარს. სესხთან დაკავშირებული გადახდები იწყება 2018 წლიდან, 2018 წელს სესხზე დარიცხული პროცენტის ვალდებულება შეადგენს 9,151 ლარს, რომლის გადახდაც მოხდება 2019 წელს. 2018 წლის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო ხარჯი შეადგენს 148,593 ლარს. სესხის ძირისა და პროცენტის გადახდა უნდა მოხდეს ყოველთვიურად. აღნიშნული სესხი გამოყენებულ იქნა არსებული სესხის რეფინანსირებისათვის და ძირითადი აქტივების შესაძენად.

სესხის ხელშეკრულება N 2017-12-14/0074/CLN/062464/021, რომელიც გაფორმებულია კომპანიასა და სს ბაზის ბანკს შორის, წარმოადგენს საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებას რომელიც ძალაშია 2019 წლის 15 დეკემბრამდე. 2018 წლის 31 დეკემბრისთვის ვალდებულება შეადგენდა 3,134,572 ლარს. 2018 წლის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო ხარჯი შეადგენს 151,432 ლარს. სესხის ძირი თანხის დაფარვა უნდა მოხდეს ხელშეკრულების დასრულების თარიღამდე. სესხის თანხა გამოყენებულ იქნა მიმდინარე საკრედიტო ხაზის დასაფარად და საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად.

სესხის ხელშეკრულება N 2018-04-13/0039/APMA3/062464/029, რომელიც გაფორმებულია კომპანიასა და სს ბაზის ბანკს შორის, წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომელიც ძალაშია 2023 წლის 13 ოქტომბრამდე. 2018 წლის 31 დეკემბრისთვის ვალდებულება შეადგენდა 1,066,497.3 ლარს. 2018 წლის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო ხარჯი შეადგენს 139,466 ლარს. სესხის ძირისა და პროცენტის გადახდა უნდა მოხდეს ყოველთვიურად. 2018 წელს სესხზე დარიცხული პროცენტის ვალდებულება შეადგენს 6,048.36 ლარს. სესხი აღებულია ძირითადი საშუალებების შესაძენად.

12 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
მიღებული ავანსები	630,276	9,585,406
სავაჭრო ვალდებულებები	119,844	709,956
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	99,416	-
ვალდებულებები ბიუჯეტის მიმართ	-	342,843
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	849,536	10,638,205

ვალდებულებები ბიუჯეტის მიმართ 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება: საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება 25,171 ლარი; დამატებული ღირებულების გადასახადის ვალდებულება 380,239 ლარი; ქონების გადასახადის ვალდებულება 32,495 ლარი და მოგების გადასახადის აქტივი 95,062 ლარი.

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

13 შემოსავალი

	2018	2017
შემოსავალი რეალიზაციიდან	42,654,435	25,782,451
უსასყიდლო მიწოდება	164,463	112,222
სულ შემოსავალი	42,818,898	25,894,673

შემოსავალი რეალიზაციიდან მოიცავს შემდეგი საქონლის რეალიზაციას:

	2018	2017
მცენარეთა დაცვა	23,985,782	12,538,712
სპეციალიზირებული აღჭურვილობა	7,253,146	2,451,037
სასუქი	5,493,839	6,176,242
სათესლე მასალა	2,868,074	2,425,628
სათბურის მოწყობილობები	368,707	256,812
საირიგაციო სისტემები	240,052	298,222
სხვა	2,444,835	1,635,798
შემოსავალი რეალიზაციიდან	42,654,435	25,782,451

კომპანიამ პერიოდის განმავლობაში მოახდინა შემდეგი პროდუქციის მიწოდება უსასყიდლოდ:

	2018	2017
სპეციალიზირებული აღჭურვილობა	45,905	5,705
სათესლე მასალა	31,580	34,449
მცენარეთა დაცვა	4.09	10,052
სასუქი	-	1,349
საირიგაციო სისტემები	-	1,299
სათბურის მოწყობილობები	-	21
სხვა	86,974	59,347
სულ უსასყიდლოდ მიწოდება	164,463	112,222

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

14 ფასდათმობა და უკან დაბრუნება

ანგარიში მოიცავს უკან დაბრუნებას და ფასდათმობას შემდეგი პროდუქტების მიხედვით

	2018	2017
უკან დაბრუნება	153,834	60,000
საირიგაციო სისტემები	84,491	13,041
მცენარეთა დაცვა	53,813	16,891
სპეციალიზირებული აღჭურვილობა	6,433	9,293
სათესლე მასალა	4,091	4,428
სასუქი	1,929	14,894
სხვა	3,077	1,453
ფასდათმობა	50	3,510
მცენარეთა დაცვა	50	3,300
სასუქი	-	210
სულ უკან დაბრუნება და ფასდათმობა	153,884	63,510

15 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2018	2017
შესყიდული მარაგები	31,362,865	18,811,035
მარაგების კორექტირება	81,566	62,735
მომსახურების ხარჯი	59,282	44,732
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	31,503,713	18,918,502

შესყიდული მარაგები	2018	2017
მცენარეთა დაცვა	17,555,051	9,232,035
სპეციალიზირებული აღჭურვილობა	5,430,498	1,804,071
სასუქი	4,101,772	4,516,372
სათესლე მასალა	2,187,848	1,870,905
სათბურის მოწყობილობები	277,602	194,638
საირიგაციო სისტემები	160,794	208,435
სხვა	1,649,300	984,579
სულ შესყიდული მარაგები	31,362,865	18,811,035

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

16 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017
ხელფასები	1,943,884	1,575,213
ცვეთა და ამორტიზაცია	519,675	461,041
საწვავის ხარჯი	211,016	147,681
საგადასახადო ხარჯი	189,939	229,335
უიმედო ვალები	133,177	10,517
მივლინება	99,724	44,329
კომუნალური ხარჯი	95,727	80,156
წარმომადგენლობითი ხარჯი	76,498	75,937
ბანკის საკომისიო	71,453	55,852
დაზღვევა	57,954	49,099
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული სერვისის ხარჯი	54,639	75,476
დაცვა	49,705	47,115
საკომუნიკაციო	28,676	24,575
იჯარის ხარჯი	26,817	18,130
საკანცელარიო ხარჯი	6,874	56,443
სხვა	684,838	341,068
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	4,250,596	3,291,967

17 რეალიზაციის ხარჯები

	2018	2017
რეკლამა და პრომოუშენის ხარჯი	166,935	228,910
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯი	21,833	38,106
სხვა რეალიზაციის ხარჯი	44,864	21,489
სულ რეალიზაციის ხარჯი	233,632	288,505

18 ფინანსური შემოსავალი

	2018	2017
სუბსიდია	82,855	-
დეპოზიტები	55,698	31,589
სულ ფინანსური შემოსავალი	138,553	31,589

2018 წლის 31 დეკემბრისთვის ფინანსური შემოსავალი უკავშირდება სს "ბაზის" ბანკსა და ა(ა)იპ "სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს" შორის გაფორმებულ საკრედიტო ხელშეკრულებას (# 2018-04-13/0039/APMA3/062464/029), რომლის თანახმადაც სს "ბაზის" ბანკმა შპს "ნობლექსი" მისცა სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით. ა(ა)იპ "სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო" ანხორციელებს ბანკის მიერ გაცემულ კრედიტზე განსაზღვრული წლიური საპროცენტო განაკვეთის მიზნობრივ თანადაფინანსებას და კრედიტის უზრუნველყოფაში თანამონაწილეობას. წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 11.5%-ს. 2018 წლის 31 დეკემბრისთვის სუბსიდიის სახით მიღებულმა ფინანსურმა შემოსავალმა შეადგინა 82,855 ლარი.

დეპოზიტებიდან მიღებულ შემოსავალთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია იხილეთ განმარტებითი შენიშვნა N3-ში.

19 სხვა საოპერაციო შემოსავალი

სხვა საოპერაციო შემოსავალი მოიცავს მომწოდებლისგან მიღებულ ფასდათმობას 1,962,021 ლარის ოდენობით (2017: 942,894 ლარი), უსასყიდლოდ მიღებულ სასაქონლო მატერიალურ მარაგებს 109,471 ლარის ოდენობით (2017: 31,508 ლარი) და სხვა შემოსავალს - 16,963 ლარს (2017: 957 ლარი).

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

20 კურსთაშორის სხვაობით გამოწვეული ზარალი

	2018	2017
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	885,531	2,474,848
მიღებული სესხები	481,814	1,168,897
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	221,573	993,596
ფული და ფულის ექვივალენტები	125,612	305,218
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	56,532	7,137
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	895,142	2,841,096
მიღებული სესხები	214,075	1,522,743
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	196,530	1,015,880
ფული და ფულის ექვივალენტები	396,069	275,589
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	88,468	26,884
კურსთაშორის სხვაობა	(9,611)	(366,248)

21 პირობით ვალდებულებები

საოპერაციო იჯარის ვალდებულებები - კომპანია, როგორც მოიჯარე

	2018	2017
1 წლამდე	2,503	18,899
1-დან 5 წლამდე	71,920	71,920
სულ	74,423	90,819

22 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- **საკრედიტო რისკი:** დანაკარგის ალბათობა იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.
- **ლიკვიდურობის რისკი:** რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.
- **საბაზრო რისკი:** რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
 - საპროცენტო რისკი
 - სავალუტო რისკი

კომპანიის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ანხორციელებს კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით.

კომპანიის შედარებით მარტივი ოპერაციების გამო, არ არის რისკების საერთო მართვის თაობაზე წინასწარ დადგენილი პოლიტიკა.

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	762,166	2,895,780
ბლოკირებული თანხები	-	9,875,788
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,373,520	4,148,045
სულ ფინანსური აქტივები	4,135,686	16,919,613
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	219,260	709,956
მიღებული სესხები	6,165,725	10,083,817
სულ ფინანსური ვალდებულებები	6,384,985	10,793,773

საკრედიტო რისკი

კომპანია საკრედიტო რისკს აკონტროლებს ინდივიდუალურ მომხმარებლებზე ლიმიტების დაწესებით, რომლის დროსაც გამოიყენება სხვადასხვა სააგენტოების ინფორმაცია, მომხმარებლის საცხოვრებელი ქვეყნის მიხედვით. კომპანიას შემუშავებული აქვს კრედიტუნარიან კლიენტებთან საქმის წარმოების პოლიტიკა.

არ შეინიშნება საკრედიტო რისკების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფული და ფულის ექვივალენტები	749,122	2,895,780
ბლოკირებული თანხები	-	9,875,788
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,373,520	4,148,045
სულ	4,122,642	16,919,613

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით რეგულარული მონიტორინგის საშუალებით.

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1 – 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	762,166	-	-	762,166
ბლოკირებული თანხები	-	-	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,373,520	-	-	3,373,520
სულ ფინანსური აქტივები	4,135,686	-	-	4,135,686
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	3,435,478	2,730,247	-	6,165,725
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	219,260	-	-	219,260
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,654,738	2,730,247	-	6,384,985
ლიკვიდურობის პოზიცია	480,946	(2,730,247)	-	2,249,301

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1 – 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	2,895,780	-	-	2,895,780
ბლოკირებული თანხები	9,875,788	-	-	9,875,788
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,387,552	749,976	-	4,137,528
სულ ფინანსური აქტივები	16,159,120	749,976	-	16,909,096
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	8,112,577	1,521,251	449,989	10,083,817
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,052,800	-	-	1,052,800
სულ ფინანსური ვალდებულებები	9,165,377	1,521,251	449,989	11,136,617
ლიკვიდურობის პოზიცია	6,993,743	(771,275)	(449,989)	5,772,479

საპროცენტო რისკი

კომპანიას საპროცენტო რისკის საფრთხე ემუქრება მხოლოდ იმ ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, რომლებზეც მოქმედებს ფიქსირებული განაკვეთი. ჯგუფს არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები, დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები და დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებები (გადასახდელები) იწვევენ სავალუტო რისკს. რომელიც გულისხმობს უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკს.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტებს მიხედვით:

	ფული და ფულის ექვივალენტები	ბლოკირებული თანხები	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	მიღებული სესხები	სულ
ლარი	747,060	-	75,974	(197,864)	(1,072,546)	(447,376)
ევრო	4,821	-	3,292,125	(16,836)	(5,093,180)	(1,813,070)
აშშ დოლარი	10,155	-	-	(4,560)	-	5,595
სულ	762,036	-	3,368,099	(219,260)	(6,165,726)	(2,254,851)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტებს მიხედვით:

	ფული და ფულის ექვივალენტები	ბლოკირებული თანხები	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	მიღებული სესხები	სულ
ლარი	2,876,972	3,294,460	409,714	(446,557)	-	6,134,589
ევრო	15,686	6,581,328	3,494,829	(522,935)	(10,083,817)	(514,909)
აშშ დოლარი	3,122	-	232,985	(83,308)	-	152,799
სულ	2,895,780	9,875,788	4,137,528	(1,052,800)	(10,083,817)	5,772,479

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

23 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება შემდეგია:

ხელფასები და ბონუსები	2018	2017
ხელფასები და ბონუსები	799,850	638,725

2018-სა და 2017 წლების განმავლობაში დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები და საბალანსო ნაშთები არ არის არსებითი.

24 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე, კომპანიის მიერ მფლობელზე გაცემულმა დივიდენდმა შეადგინა 1,120,842 ლარი.

მმართველობითი ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

შპს ნობლექსი - ს.ნ. 204471561 დაარსდა 2005 წლის თებერვალში.

პარტნიორი - ალექსანდრე ედიბერიძე (65001000147), 100%

დირექტორი - ალექსანდრე ედიბერიძე (65001000147)

სავაჭრო სახელი - „აგროსფერო“



ლოგო -

სლოგანი - აგროსფერო - თქვენი ბარაქიანი შემოდგომისთვის!

მისია

შპს „ნობლექსი“ 2005 წლიდან მოღვაწეობს აგრობიზნესში და დღესდღეობით წარმოადგენს ერთერთ უმსხვილეს სადისტრიბუციო კომპანიას ამ მიმართულებით, თბილისსა და კახეთში წარმოდგენილია მაღაზიათა ქსელით „აგროსფერო“.

ჩვენი მისიაა ხელი შევუწყოთ ქართველ ფერმერებს თავიანთ საქმიანობაში, გავუზიაროთ მოტივაცია, რათა სოფლის მეურნეობას მეტი ხალისით და ენთუზიაზმით ემსახურონ, საკუთარ მიწაზე მოიყვანონ ქართული მოსავალი, რომელიც მათი კეთილდღეობის საფუძველი და ფინანსური სიძლიერის გარანტი გახდება.

ჩვენი წარმატების საიდუმლო პროდუქციის ხარისხი, მომსახურების მაღალი სტანდარტი და ხელმისაწვდომობაა



პროდუქციის ხარისხი

მომხმარებელთა კომფორტისთვის „აგროსფერო“-ში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სრული სპექტრი გვაქვს წარმოდგენილი, რაც მათ საშუალებას აძლევს ყველაფერი ერთიან სივრცეში შეიძინონ, დაზოგონ დრო, ენერგია და მიიღონ მაღალკვალიფიციური კონსულტაცია, რაც საბოლოო ჯამში

საუკეთესო შედეგს განაპირობებს. ჩვენი პროდუქციის ასორტიმენტი მოიცავს: მცენარეთა დაცვის საშუალებებს, მინერალურ სასუქებს, აგროტექნიკას, სათესლე მასალას, წვეთოვანი მორწყვის სისტემებს, სამუშაო იარაღებსა და ფერმერისთვის საჭირო სხვა პროდუქციას, ასევე დანადგარებისა და დამხმარე მასალების ფართო სპექტრს ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების წარმოებისთვის.

საქართველოში წარმოადგენთ მსოფლიოს ლიდერ 20-ზე მეტ კომპანიას სხვადასხვა მიმართულებით: მცენარეთა დაცვის საშუალებები - Bayer AG, მინერალური სასუქები - Yara, სასოფლო სამეურნეო ტექნიკა - Claas, სათესლე მასალა - Rijk Zwaan, Nunhems, წვეთოვანი მორწყვის სისტემები - Irritec, ფილტრაციის სისტემები - Pall, მუხის კასრები და დამხმარე მასალები - Seguin Moreau და სხვა.

მომსახურების მაღალი სტანდარტი

„აგროსფერო“-ს მაღაზიათა ქსელში შეძენილ პროდუქციას, თან ერთვის მაღალკვალიფიციური კონსულტაცია, რომელიც მიმართულია საუკეთესო შედეგისკენ.

ჩვენი მიზანი მომხმარებლებისთვის შეთავაზებული მომსახურებით მიღებული საუკეთესო შედეგია, რადგან მნიშვნელოვანია, ურთიერთობა მომხმარებელთან ერთჯერადი მომსახურებით არ შემოიფარგლოს, არამედ გრძელვადიანი, საერთო შედეგზე ორიენტირებული პარტნიორობის სახე მიეცეს.

იმისათვის რომ სასურველ შედეგს მივაღწიოთ, მხარში ვუდგავართ ფერმერებს, ვახორციელებთ მათი მეურნეობების მონიტორინგს, ყოველთვის ადგილზე ვეცნობით არსებულ მდგომარეობას, ვუზიარებთ ჩვენს გამოცდილებას და ვეხმარებით მოსავლის დაგეგმვაში.


ფერმერის უხვი მოსავალი „აგროსფერო“-ს წარმატებაა!

ხელმისაწვდომობა

კომპანიის ცენტრალური ოფისი და საწყობი მდებარეობს თბილისში. პროდუქცია წარმოდგენილია „აგროსფერო“-ს სერვისცენტრებში და ოფიციალურ პარტნიორებთან, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

„აგროსფერო“ დაარსების დღიდან მუდმივად ვითარდება და განაგრძობს წინსვლას, დღეს შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ „აგროსფერო“ მომხმარებლებისთვის ასოცირდება პროფესიონალიზმთან და მაღალი ხარისხის პროდუქციასთან.

შპს ნობლექსში ძირითად გადაწყვეტილებებს იღებს დირექტორთა საბჭო, რომელთა შემადგენლობაა:



დირექტორატის მიზანი - ნობლექსის საქმიანობის შესაბამისობის უზრუნველყოფა მის მიზნებთან და სტრატეგიასთან ამოცანები

- 1.მმართველი გუნდის წევრებს შორის შეთანხმებული და მკაფიო სტრატეგიის არსებობა;
- 2.მთავარი ბიზნეს პროცესების უწყვეტობა და გამართული მიმდინარეობა;
- 3.სტრატეგიული ამოცანებისა და მიზნების შესაბამისი წლის სამოქმედო გეგმების არსებობა, განყოფილებების/სამსახურების დონეზე და მათი შესრულება.

დირექტორთა საბჭოს განსახილველი საკითხები

- 1.შეთანხმება მომავალი წლის მიზნებსა და ამოცანებზე, სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტის გზების დასახვა;
- 2.სტრატეგიიდან გამომდინარე, განყოფილებების/სამსახურების დონეზე სამოქმედო გეგმის განხილვა და დამტკიცება;
- 3.მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობის განხილვა;
- 4.ბიზნეს პროცესების შემუშავება/საჭიროებისამებრ მათში ცვლილებების შეტანა;
- 5.მიმდინარე პრობლემური საკითხების განხილვა, გადაწყვეტილების მიღება და აღსრულების მონიტორინგი;
- 6.სტრუქტურულ ერთეულებს შორის წამოჭრილი კონფლიქტური საკითხების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება, აღსრულების მონიტორინგი;
- 7.ბიუჯეტის დამტკიცება, მიმდინარე კონტროლი და ყოველთვიური გადახრების ანალიზი;
- 8.წლის ბოლოს ბიუჯეტის შესრულების შედეგების შეფასება: ფინანსური შედეგების შეფასება, შესრულებული სამუშაოების შეფასება, ჩამორჩენის / გადაჭარბების ანალიზი;
- 9.პროდუქტებისა და პროექტების ფინანსური / საინვესტიციო ანალიზი და გადაწყვეტილების მიღება;
- 10.შტატების დამატების საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;
- 11.მაღალი და საშუალო დონის პოზიციებზე კადრების დანიშვნის საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;
- 12.სხვა კოლეგიალური ორგანოების რეგლამენტის განხილვა და დამტკიცება;
- 13.სხვა კოლეგიალურ ორგანოებიდან ანგარიშების მოსმენა.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მაკონტროლებელია სურსათის ეროვნული სააგენტო, რომელიც ახორციელებს სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში არსებული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისობის დადგენას. ჩვენი კომპანია სრულად

ასრულებს კანონმდებლობის მოთხოვნებს და ახორციელებს საქართველოში რეგისტრირებული პესტიციდებისა და აგრიქიმიკატების იმპორტს, შენახვას და დისტრიბუციას; ბიზნეს ოპერატორის მოთხოვნებს; ასევე მკაცრად ვაკონტროლებთ პროდუქციის ხარისხს და ვარგისიანობის ვადებს, ქართულ ეტიკეტირებას და ა.შ.

გადასახადების კუთხით კომპანიის მთავარი პრიორიტეტია საქართველოს საგადასახადო კოდექსის და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნების ზედმიწევნით დაცვა.

კომპანიის განვითარების გეგმები

1. ასორტიმენტის განვითარება:
 - ✓ ახალი პროდუქტების შერჩევა
 - ✓ ახალი პროდუქტების დანერგვა
 - ✓ სწორი ფასდადება
2. ხარისხიანი მომსახურების უზრუნველყოფა
 - ✓ ოპერაციების შეუფერხებელი წარმოება
 - ✓ მიმდინარე მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა
 - ✓ მომსახურების ხარისხის კონტროლი და განვითარება
3. გაყიდვების სტიმულირება
 - ✓ ბრენდის განვითარება
 - ✓ სავაჭრო ქსელის განვითარება
 - ✓ მომხმარებლების მოზიდვა და მათთან ურთიერთობის განვითარება (როგორც კორპორატიული, ასევე საცალო გაყიდვების კუთხით)

კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა

კომპანიას კვლევები არ განუხორციელებია.

2018 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და ღონისძიებები:

- 1.) აგროსფერომ მოიპოვა „შვეიცარიის რეიტინგების ასოციაციის“ უმაღლესი ჯილდო - „წლის ლიდერი“!
- 2.) აშენდა მექანიზაციის ახალი სერვის ცენტრი თბილისში



3.) ლაგოდეხში მდებარე სერვისცენტრში განახლდა ინტერიერი და ექსტერიერი



4.) 29 მაისს, დედოფლისწყაროში “ხორბლის მინდვრის დღე 2018” გაიმართა. სადემონსტრაციო ნაკვეთში წარმოდგენილი იყო 8 სახეობის ხორბალი, 2 სახეობის ქერი და ტრიტიკალე.



5.) ლაგოდეხში, 11 ივნისს აგროსფეროს სადემონსტრაციო სათბურში “კიტრის სადემონსტრაციო დღე” გაიმართა.



კომპანიის წინაშე მდგარი ამოცანები:

1. კორპორატიული კლიენტების მოზიდვა და მათთან ურთიერთობის განვითარება
 - ✓ სპეციფიკის მიხედვით ოპტიმალური შეთავაზებების მომზადება და კომუნიკაცია;
 - ✓ მომხმარებლებთან უკუკავშირი;
 - ✓ არსებულ კლიენტებთან ურთიერთობის განვითარება;
 - ✓ ბრენდის ცნობადობისა და სანდოობის გაზრდა;
 - ✓ დილერების ქსელის გაფართოვება;
 - ✓ დილერებთან ურთიერთობის განვითარება.
2. მომსახურების მაღალი ხარისხი
 - ✓ კადრების შერჩევა და უწყვეტი სწავლება;
 - ✓ მომსახურების ხარისხის კონტროლი;
 - ✓ მომსახურების სტანდარტების განსაზღვრა და დანერგვა.
3. ოპერაციების შეუფერხებელი წარმოება
 - ✓ პროდუქციის მარაგებზე მოთხოვნებისა და პროგნოზების განსაზღვრა (გაყიდვების პროგნოზირების მიხედვით);
 - ✓ ლოჯისტიკის ეფექტური მუშაობა;
 - ✓ შესყიდვების განხორციელება;
 - ✓ საწყობებში და საწყობებს შორის მარაგების ეფექტიანი მართვა.
4. საცალო მომხმარებლების მოზიდვა და მათთან ურთიერთობის განვითარება
 - ✓ ქსელის გაფართოვება;
 - ✓ ბრენდის ცნობადობისა და სანდოობის გაზრდა;
 - ✓ პირდაპირი კომუნიკაცია;
 - ✓ უკუკავშირი მომხმარებლებთან;
 - ✓ კლიენტების მონაცემთა ბაზების განვითარება.
5. ასორტიმენტის განვითარება
 - ✓ ახალი პროდუქტების მოძიება და გაყიდვების პოტენციალის ანალიზი;
 - ✓ ახალი პროდუქტების დანერგვა;
 - ✓ არსებული პროდუქტების გაყიდვების ანალიზი და გამოუყენებელი პოტენციალის შეფასება;
 - ✓ ფასწარმოქმნა;
 - ✓ ახალი პროდუქტების რეგისტრაცია.
6. ქსელის განვითარება
 - ✓ პოტენციური რეგიონების/რაიონების გამოყოფა და სპეციფიკის შესწავლა;
 - ✓ არსებული მაღაზიების გაყიდვების ანალიზი რეგიონების/რაიონების მიხედვით;
 - ✓ ბაზარზე გაყიდვების ანალიზი;

- ✓ რაიონებში მაღაზიისთვის ტერიტორიის შერჩევა;
- ✓ მაღაზიების დაგეგმარება და სამშენებლო/სარემონტო სამუშაოების წარმოება.

7. ფინანსური ეფექტიანობის უზრუნველყოფა

- ✓ ბიუჯეტირება;
- ✓ ფინანსური და ოპერაციული რისკების მართვა;
- ✓ ახალი პროდუქტებისა და პროექტების ფინანსური საინვესტიციო ანალიზი;
- ✓ სწორი ფასწარმოქმნა;
- ✓ გამართული ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგება.

კომპანიის უახლოესი მიზნებია:

1. გაყიდვების გაზრდა
2. ბიზნესის ოპტიმიზირება, გაყიდვებისა და კლიენტებთან ურთიერთობის ტრენინგები/კვალიფიკაციის ამაღლება
3. ახალი პროდუქტების დანერგვა
4. თბილისში მექანიზაციის ახალი სერვის ცენტრის ამუშავება
5. ინტერნეტ მაღაზიის ამუშავება
6. ERP პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა

ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

შპს ნობლექს არ გააჩნია ფილიალები. აქვს საბითუმო საწყობი, სათაო ოფისი, რომელიც განთავსებულია მისამართზე: თბილისი, კახეთის გზატკეცილი 155

ასევე აქვს მაღაზიათა ქსელი შემდეგ მისამართებზე:

- 1) თბილისი, კახეთის გზატკეცილი 153
- 2) გურჯაანი, თავისუფლების 66
- 3) გურჯაანი, სოფ. ახაშენი (ცენტ. გზატკეცილი)
- 4) ყვარელი, მეურნეობის დასახლება
- 5) ლაგოდეხი, აფენის ბაზრობასთან
- 6) ლაგოდეხი, სოფ. ცოდნისკარი (ბაზრობასთან)

კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ

კომპანიის წინაშე არსებული მნიშვნელოვან რისკებს მიეკუთვნება ეროვნული ვალუტის რყევებით გამოწვეული სავალუტო რისკები, მითუმეტეს როდესაც მარაგების უდიდესი ნაწილი არის იმპორტირებული და მომწოდებლებთან ანგარიშსწორება გვიწევს უცხოურ ვალუტაში. აღნიშნული რისკის შესამცირებლად საქონლის კრედიტში გაყიდვის შემთხვევაში კლიენტებთან ხელშეკრულება უმეტესად იდება ვალუტაში და შესაბამისად ანგარიშსწორება ხდება ვალუტის შესაბამისი ექვივალენტით ლარში.

კომპანიას საქმიანობა უწევს საკმაოდ მაღალი კონკურენციის პირობებში, შესაბამისად არსებობს საბაზრო რისკიც. აღნიშნულის პრევენციისთვის კომპანია მუდმივად ზრუნავს შეინარჩუნოს მაღალი ხარისხი და იყოს ორიენტირებული მომხმარებლის კმაყოფილებაზე.

ასევე მნიშვნელოვანია დებიტორული დავალიანების ამოუღებლობის რისკი. აღნიშნული რისკის შესამცირებლად მუდმივად მიმდინარეობს მონიტორინგი და პრევენცია სხვადასხვა საშუალებებით.

საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

შპს ნობლექსს საკუთარი აქციები არ გააჩნია

ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.

შპს ნობლექსი თავის საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობას აფინანსებს როგორც საკუთარი, ისე ფინანსური ინსტიტუტებისაგან მოზიდული სახსრებით. შესაბამისად აქვს ფინანსური რისკები ამ მიმართულებითაც. აღნიშნული რისკის მართვასთან დაკავშირებით კომპანიის პოლიტიკა არის შემდეგნაირი: სესხის საჭიროების შემთხვევაში განიხილავს იმ დროისთვის საფიფანსო ბაზარზე არსებულ სიტუაციას და გადაწყვეტილებას იღებს საუკეთესო შეთავაზების სასარგებლოდ; ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მინიმიზაციისთვის კომპანიის რეგულარულ მომხმარებლებს მენეჯმენტის გადაწყვეტილებით წლის დასაწყისში უდგინდება საკრედიტო ლიმიტები, რომელიც შეტანილია პროგრამულად და გაყიდვების პერსონალს არ აძლევს მისი გადაჭარბების საშუალებას. ასევე ვიყენებთ საფინანსო ინსტიტუტების მომსახურებას საქონლის განვადებით გაყიდვისთვის. ამით შეძლებისდაგვარად ვზღუდავთ დებიტორული დავალიანების ზრდას; ვადაგადაცილებული დავალიანებების ამოღების მიზნით კომპანიის მხრიდან ხდება გაფრთხილება რამდენჯერმე, რისი უგულვებელყოფის შემთხვევაში იძულებული ვართ მივმართოთ კანონით გათვალისწინებულ სხვა საშუალებებს, მათ შორის აღსრულების ეროვნულ ბიუროს. კომპანიაში დანერგილია შიდა კონტროლის მექანიზმები, რითიც ვახორციელებთ გარკვეულ რისკებთან დაკავშირებულ პრევენციას და კონტროლს. კვალიფიციური კადრების შერჩევისთვის მოქმედებს სისტემა, რომელიც რამოდენიმე ეტაპადაა დაყოფილი: 1) ვაკანსიის გამოცხადება; 2) პირველადი შერჩევა CV-ს საშუალებით; 3) გასაუბრება; 4) შერჩეული კანდიდატების აყვანა 3-6 თვიანი გამოსაცდელი ვადით. მხოლოდ ამ ეტაპების გავლის შემდეგ ხდება კანდიდატი კომპანიის შტატის თანამშრომელი. არსებული პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა მუდმივად ხდება სხვადასხვა ტრენინგი/სემინარების საშუალებით. თითოეულ თანამშრომელს გაწერილი აქვს მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები და ანგარიშვალდებულია მის უშუალო ხელმძღვანელთან. შესაბამისად ყველა არასტანდარტული შემთხვევა თანხმდება მასთან. გარდა ამისა თანამშრომლების მოტივაციისთვის მოქმედებს საბონუსე სისტემა და სხვა სამოტივაციო საშუალებები.

შიდა კონტროლის მექანიზმები, რომელიც გამოიყენება შეცდომით გამოწვეული უზუსტობების აღმოსაჩენად, პრევენციისა და შესამცირებლად, არის შემდეგი:

- 1) ნაღდი ფულის მოძრაობის და სალაროს ნაშთების მინიმუმამდე დაყვანა. ასევე სალაროს ნაშთების პერიოდული გადამოწმება;
- 2) რეალიზაციის შემთხვევაში ფასების ცვლილების აკრძალვა საცალო ინტერფეისში და გაყიდვების მენეჯერების მომხმარებლებისთვის;
- 3) ფინანსური მენეჯერის მხრიდან სპეციალური რეპორტებით კონტროლი სხვადასხვა ჭრილში. მაგ. თვითღირებულებაზე დაბალი ფასით ან დაბალი მარჟით გაყიდვების შემთხვევების გადამოწმება;
- 4) მარაგების პერიოდული ინვენტარიზაციები;
- 5) დებიტორ-კრედიტორებთან მოთხოვნა-ვალდებულებების კონტროლი;

დადებითი გარემო ფაქტორები

აგროსფეროს საქმიანობის სფეროდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ქვეყნისთვის პრიორიტეტულია სოფლის მეურნეობის განვითარება, რომელიც დადებითად ისახება როგორც ამ სფეროში მოღვაწე ფერმერისთვის, ასევე მიმწოდებელი კომპანიებისთვის. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის

შპს “ნობლექსი”

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
31 დეკემბერი 2018

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2-5

ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10-29
მმართველობითი ანგარიშგება	30 -38

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს “ნობლექსის” (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული მსს ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები მსს ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი


ალექსანდრე ედიბერიძე

ფინანსური დირექტორი

ნელი ხმელიძე

ფინანსური მენეჯერი

ნინო კაპანაძე



RSM Georgia

85, Z. Paliashvili str
Tbilisi 0162, Georgia

T +995 (32) 255 88 99

F +995 (32) 255 88 99

www.rsm.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ნობლექსის“ დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ნობლექსის“ თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს (შემდგომში - „ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველის აზრებში ასახული საკითხის შესაძლო ეფექტისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

გამომდინარე იქიდან რომ, ჩვენ დავინიშნეთ კომპანიის აუდიტორებად 2017 წლის 31 დეკემბრის შემდგომ პერიოდში, ჩვენ ვერ შევძელით დავკვირვებოდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციას. ალტერნატიული პროცედურების ჩატარების შემდეგ ჩვენ ვერ დავრწმუნდით 2017 წლის ბოლოს არსებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების რაოდენობის სისწორეში. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ სასაქონლო მატერიალური ფასეულობების 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ნაშთის არსებითი ნაწილი რჩება 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მარაგების ნაშთში, ჩვენთვის შეუძლებელი იყო იმის განსაზღვრა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კომპანიის მიმდინარე ოპერაციებზე ან საწყისი პერიოდის დაგროვილ მოგებაზე. აღნიშნული ფაქტის შესაძლო არსებითი ეფექტის გამო კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება სასაქონლო მატერიალური ფასეულობების საწყის ნაშთსა და 2018 წლის 31 დეკემბრით არსებული ნაშთის 1,987,137 ლარზე მოდიფიცირებულია.

THE POWER OF BEING UNDERSTOOD
AUDIT | TAX | CONSULTING

Ltd RSM Georgia is a member of the RSM network and trades as RSM. RSM is the trading name used by the members of the RSM network. Each member of the RSM network is an independent accounting and consulting firm which practices in its own right. The RSM network is not itself a separate legal entity in any jurisdiction.

Lead sponsors


ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ბასს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად „სადაც და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიში მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მიხედვით მმართველობით ანგარიშზე.

მენეჯმენტი პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე რომელიც წარმოდგენილია აუდიტებულ ფინანსური ანგარიშგებასთან ერთად. ზემოთხსენებული კანონის მიხედვით მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგი ინფორმაცია:

- სუბიექტის განვითარების გეგმები;
- სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა;
- სუბიექტის ფილიალების საქმიანობა;
- სუბიექტის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ;
- საკუთარი აქციების შეძენის შესახებ მოკლე ინფორმაცია;
- ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნების და პოლიტიკა;
- საჭიროების შემთხვევაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მყოფი სხვა ინფორმაცია
- ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე ტიპის მოსაზრებას მმართველობით ანგარიშთან („სხვა ინფორმაცია“) დაკავშირებით. ჩვენი, როგორც აუდიტორების, პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რომ:
- გავცენოთ სხვა ინფორმაციას და შევაფასოთ რამდენად არსებითად თანმიმდევრულია სხვა ინფორმაცია 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლით წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- წარმოდგენილია თუ არა მმართველობით ანგარიშში ყველა ის ინფორმაცია რაც განსაზღვრულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

სხვა გარემოებათა აზიარება

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის“ შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად კომპანიამ მოამზადა მმართველობითი ანგარიში, რომელიც წარმოდგენილია ამ ფინანსურ ანგარიშგებებთან ერთად. ჩვენს მიერ ჩატარებული პროცედურების შედეგად არ გამოვლენილა არსებითი ცდომილება და მართვლობითი ანგარიში მომზადებულია მენეჯმენტის მიერ და განხილულია აუდიტორის მიერ ამ აუდიტორული დასკვნის ზემოთ მოცემულ „აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით“ აზიარების შესაბამისად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე

დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს კომპანიის ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ ფინანსური ანგარიშგების შესახებ, ჩვენ ვართ პასუხისმგებლები კომპანიის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.


მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

30 სექტემბერი 2019

არესემ საქართველო

მმართველი პარტნიორი გიორგი კვინიკაძე

RSM Georgia



შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი	13	42,818,898	25,894,673
უკან დაბრუნება და ფასდათმობა	14	(153,884)	(63,510)
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	(31,503,713)	(18,918,502)
მომხმარებლისგან უკანდაბრუნება		-	45,571
საერთო მოგება		11,161,301	6,958,232
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	16	(4,250,596)	(3,291,967)
რეალიზაციის ხარჯი	17	(233,632)	(288,505)
საოპერაციო მოგება		6,677,073	3,377,760
ფინანსური შემოსავალი	18	138,553	31,589
სხვა საოპერაციო შემოსავალი	19	2,088,455	975,359
ფინანსური ხარჯი	11	(439,491)	(507,654)
არასაოპერაციო შემოსავალი		44,835	146,995
არასაოპერაციო ხარჯი		-	(146,860)
კურსთაშორის სხვაობით გამოწვეული ზარალი	20	(9,611)	(366,248)
მოგება დაბეგვრამდე		8,499,814	3,510,941
მოგების გადასახადი	10	-	-
წმინდა მოგება		8,499,814	3,510,941
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		8,499,814	3,510,941

დირექტორი

ალექსანდრე ედიბერიძე

ფინანსური დირექტორი

ნელი ხმელიძე

ფინანსური მენეჯერი

ნინო კაპანაძე

შპს „ნობლექსი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	10,927,273	8,602,940
არამატერიალური აქტივები	7	156,558	58,115
ბიოლოგიური აქტივები	8	97,968	85,835
სულ გრძელვადიანი აქტივები		11,181,799	8,746,890
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	3	762,166	12,771,568
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	6,210,502	4,973,802
მარაგები	4	11,470,244	8,339,398
სულ მოკლევადიანი აქტივები		18,442,912	26,084,768
სულ აქტივები		29,624,711	34,831,658
კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		22,607,450	14,107,636
სულ კაპიტალი	9	22,609,450	14,109,636
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	2,730,247	1,971,240
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,730,247	1,971,240
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	849,536	10,638,205
მოკლევადიანი სესხები	11	3,435,478	8,112,577
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4,285,014	18,750,782
სულ ვალდებულებები		7,015,261	20,722,022
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		29,624,711	34,831,658

დირექტორი ალექსანდრე ედიბერიძე

ფინანსური დირექტორი ნელი ხმელიძე

ფინანსური მენეჯერი ნინო კაპანაძე

შპს „ნობლექსი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		2,000	10,596,695	10,598,695
წლის მოგება		-	3,510,941	3,510,941
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		2,000	14,107,636	14,109,636
წლის მოგება		-	8,499,814	8,499,814
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		2,000	22,607,450	22,609,450

დირექტორი


ალექსანდრე ედიბერიძე

ფინანსური დირექტორი

ნელი ხმელიძე

ფინანსური მენეჯერი

ნინო კაპანაძე



შპს „ნობლექსი“
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება/ზარალი დაბეგვრამდე:		8,499,814	3,510,941
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	6-7	535,434	480,388
უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან მიღებული წმინდა ზარალი	20	9,611	366,248
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული მოგება/ზარალი		-	(46,037)
ცვლილება გაუფასურების რეზერვში	5	133,177	-
საპროცენტო ხარჯი	11	439,451	507,654
ცვლილებები საოპერაციო აქტივებში და ვალდებულებებში:			
ზრდა/კლება მარაგებში	4	(3,268,547)	(2,364,598)
ზრდა/კლება ბიოლოგიურ აქტივებში	8	(12,133)	(58,100)
ზრდა/კლება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	5	(1,236,771)	(685,732)
ზრდა/კლება მიღებულ სესხებში	11	(3,639,992)	2,995,703
ზრდა/კლება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	12	(9,928,669)	9,303,909
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული ფულადი სახსრები		(8,468,625)	14,010,376
გადახდილი პროცენტი	11	(449,812)	(482,093)
გადახდილი მოგების გადასახადი	10	-	-
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		(8,918,437)	13,528,283
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალების გაყიდვა	6	-	108,989
ძირითადი საშუალები შეძენა	6	(2,684,639)	(1,163,214)
არამატერიალური აქტივების შეძენა	7	(135,870)	(49,423)
არამატერიალური აქტივების ჩანაცვლება	7	-	2,890
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი		(2,820,509)	(1,100,758)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საფინანსო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		-	-
ფული და ფულის ექვივალენტები			
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3	12,771,568	314,414
წმინდა ზრდა წლის განმავლობაში		(11,738,946)	12,427,525
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	20	(270,456)	29,629
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3	762,166	12,771,568

დირექტორი ალექსანდრე ედიბერიძე

ფინანსური დირექტორი ნელი ხმელიძე

ფინანსური მენეჯერი ნინო კაპანაძე

შპს „ნობლექსი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „ნობლექსი“ (შემდგომში „კომპანია“), საიდენტიფიკაციო ნომრით 204471561 დარეგისტრირდა საქართველოში, თბილისში 2005 წლის 24 თებერვალს. კომპანიის იურიდიული მისამართია კახეთის გზატკეცილი N155, თბილისი, საქართველო. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკისა და დამხმარე პროდუქციის რეალიზაცია, კომპანია ოპერირებს საქართველოს ტერიტორიაზე.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ორგანიზაციაში დასაქმებულთა რიცხვი შეადგენდა 123 (2017: 94) თანამშრომელს.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის დამფუძნებელ პარტნიორთა შორის წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

მესაკუთრე	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ალექსანდრე ედიბერიძე	100%	100%

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად მენეჯმენტმა გამოიყენა სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო ცოდნა და სააღრიცხვო პოლიტიკა რომლის მიხედვითაც მომზადდა მსს ფასს სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი ფინანსური ანგარიშგა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანია იყენებს ისტორიული ღირებულების პრინციპს, სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკა და გამოყენებული პრინციპები წარმოდგენილია ქვემოთ.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია მსს ფასს-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. ორგანიზაციის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

ორგანიზაცია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. მენეჯმენტის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ინფორმაციის კლასიფიცირება ხდება მიმდინარე და გრძელვადიანობის საფუძველზე.

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

შეფასების საფუძველი

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთას, ასევე, არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვს შორის სხვაობით. ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების ღირებულებისა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით შემდეგნაირად:

შენობები	30 - 50 წელი
ნაგებობები	10 - 20 წელი
მანქანა დანადგარები	8 - 15 წელი
სასოფლო სამეურნეო ტექნიკა და სხვა საშუალებები	7 - 18 წელი
ოფისის აღჭურვილობა	2 - 10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3 - 10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 - 10 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	3 - 5 წელი

თუ არსებობს ძირითადი საშუალებების ცვეთის განაკვეთის, სასარგებლო მომსახურების ვადის ან ნარჩენი ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილების ინდიკაცია, ახალი მოლოდინების ასახვის მიზნით, ცვეთის დარიცხვის ცვლილება აისახება არარეტროსპექტულად.

ძირითადი საშუალების რეალიზაციით წარმოქმნილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა მიღებულ საფასურსა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და მიეკუთვნება „სხვა შემოსავლებს“ ან „სხვა საოპერაციო ხარჯებს“.

არამატერიალური აქტივები

საოპერაციო კომპიუტერული პროგრამები წარმოდგენილია თვითღირებულებასა და დაგროვილ ამორტიზაციას, ასევე, არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვს შორის სხვაობით. ამორტიზაცია ხდება მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების შვიდ წლამდე ვადის განმავლობაში, წრფივად წლიური 15%-იანი განაკვეთით. თუ არსებობს აქტივის ამორტიზაციის განაკვეთის, სასარგებლო მომსახურების ვადის ან ნარჩენი ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილების ნიშანი, ახალი მოლოდინების ასახვის მიზნით, ამორტიზაციის დარიცხვის ცვლილება აისახება არარეტროსპექტულად.

კომპანიის არამატერიალური აქტივები ასევე მოიცავს ლიცენზიას „კრედიტინფოს“ სახელისა და ლოგოს გამოყენებაზე. ვინაიდან აღნიშნული ლიცენზია არის განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე, სასარგებლო მომსახურების ვადად მიიჩნევა 10 წელი (წლიური 10%-იანი განაკვეთი).

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურების ინდიკაცია. თუ ამგვარი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს აქტივის (აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის ნარჩენ ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ არაფინანსური აქტივის, გარდა გუდვილისა, გაუფასურების ზარალი მცირდება, აქტივის (აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება ახალ მოსალოდნელ ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ არაუმეტეს იმ ღირებულებისა, რომელიც ამ აქტივს ექნებოდა, რომ არ მომხდარიყო ამ აქტივისათვის (აქტივთა ჯგუფისათვის) გაუფასურების ზარალის აღიარება წინა წლებში. გაუფასურების ზარალის შემცირება აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. მოთხოვნებს არ ერიცხება სარგებელი. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებებს, რათა განსაზღვროს, ხომ არ არსებობს აქტივის გაუფასურების რაიმე ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურების შემთხვევაში გაუფასურების ზარალი აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (მოიცავს გარიგების ხარჯებს). სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება სარგებელი. პროცენტიანი ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს აქტივებს, რომელთა გადაცემა ფულზე წინასწარ ცნობილი ოდენობით შესაძლებელია დაუბრკოლებლად და ამასთან, მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

ანარიცხები და პირობითი აქტივები/ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ როდესაც, კომპანიას წარსული მოვლენების შედეგად საღრიცხვო პერიოდისათვის აქვს ვალდებულება. შესაძლოა კომპანიის მიმართ გაჩნდეს მოთხოვნა, რომ გადაიტანოს თავისი ეკონომიკური სარგებელი და ვალდებულების მოცულობა შესაძლოა შეფასდეს საიმედოდ. ანარიცხები იზომება პრე- საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით ვალდებულების შესასრულებლად საჭირო მოცულობის დღევანდელ ღირებულებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და კონკრეტული ვალდებულების რისკებს. ანარიცხების ზრდა, დროის გასვლის გამო, აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი. ანარიცხების აღიარება არ ხდება მომავალ საოპერაციო დანაკარგებზე.

პირობითი ვალდებულებები და აქტივები არ აღიარდება.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება - საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი, სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, პირდაპირ სახელფასო დანახარჯებთან, საწყობის ცვეთასთან. სოფლის მეურნეობის პროდუქცია აღიარდება სასაქონლო მატერიალური მარაგებში თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

ბიოლოგიური აქტივები

კომპანია ბიოლოგიურ აქტივს და სოფლის მეურნეობის პროდუქციას აღიარებს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- კომპანია აკონტროლებს ამ აქტივს წარსული მოვლენების შედეგად;
- მოსალოდნელია ამ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა, და
- შესაძლებელია აქტივის რეალური ღირებულების ან თვითღირებულების საიმედოდ შეფასება, მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევების გარეშე.

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

გაცემული სესხები და მოთხოვნები სესხები და მოთხოვნები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე. კლიენტებზე გაცემული სესხები და მოთხოვნები აღირიცხება, როდესაც კომპანია გასცემს თანხას კლიენტზე არაკოტირებული არადერივატიული დებიტორული დავალიანების შესყიდვის ან წარმოქმნის მიზნით, რომელიც გადასახდელია დადგენილ ან განსაზღვრულ ვადებში და არ აქვს დებიტორული დავალიანების გაყიდვის განზრახვა. გაცემული სესხები და მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

შემოსავლის აღიარება

(ა) შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, შემოსავლები წარმოდგენილია ფასდაკლებებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით.

(ბ) საპროცენტო შემოსავლები საბანკო დეპოზიტებიდან

საბანკო დეპოზიტებიდან გამომდინარეებული საპროცენტო შემოსავლების გაანგარიშება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება საკასო მეთოდით საბანკო ანგარიშზე შესაბამისი თანხის მიღების მომენტისათვის.

საოპერაციო ხარჯები

(ა) თანამშრომელთა სახელფასო და სხვა სარგებელი

დარიცხული ხელფასის, ბონუსების და არაფულადი სარგებლის (დაზღვევა) დარიცხვა ხდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც თანამშრომლების მიერ გაიწევა შესაბამისი მომსახურება. კომპანიას არ აქვს შრომითი საქმიანობის შემდგომი ვალდებულებები.

(ბ) იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახდელები აღიარდება წრფივი მეთოდით, კონტრაქტით გათვალისწინებული იჯარის ვადის განმავლობაში

სესხის ხარჯები

სესხები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახურლი შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

საქართველოს ეროვნული ბანკის
ოფიციალური გაცვლითი კურსი

	აშშ დოლარი	ევრო	ფუნტი სტერლინგი
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6766	3.0701	3.3955
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.5922	3.1044	3.5005
საშუალო გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2.5345	2.9913	3.3812
საშუალო გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2.5095	2.8322	3.2315

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის.

მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, მოგების გადასახადი წარმოიშება არა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გამომჟღავნებულ მოგებაზე, არამედ მოგებაზე რომლის განაწილებაც მოხდება დივიდენდებზე. დივიდენდის განაწილებისას გადასახდელი მოგების გადასახადის ოდენობა განისაზღვრება განაწილებული მოცულობის 15/85-ით. დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადის აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად იმისა, თუ როდის მოხდება საბოლოოდ დივიდენდების გაცემა.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

სააქციო კაპიტალი, საემისიო კაპიტალი, სახაზინო აქციები და გადასახდელი დივიდენდები

ჩვეულებრივი აქციები კაპიტალში აღიარებულია ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება, როგორც „სააქციო კაპიტალი“. აქციების გამოშვებისას ნომინალური ღირებულების ზემოთ მიღებული თანხები კაპიტალში კლასიფიცირდება, როგორც „საემისიო კაპიტალი“.

კომპანიის საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტების ღირებულება, რომელიც მან გამოისყიდა კლასიფიცირდება როგორც „სახაზინო აქციები“, იგი ამცირებს კაპიტალს და ამგვარადაა წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. როდესაც სახაზინო აქციები გაყიდულია ან თავიდან გამოშვებული, ისინი მიეკუთვნება კაპიტალს. შედეგად, სრული შემოსავლის ანგარიშგება არ მოიცავს სახაზინო აქციების მოგებას ან ზარალს.

გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება.

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

3 ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	12,780	12,462
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	736,342	2,860,051
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	8,468	16,921
ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში	4,576	6,346
ბლოკირებული თანხები ბანკში უცხოურ ვალუტაში	-	6,581,328
ბლოკირებული თანხები ბანკში ეროვნულ ვალუტაში	-	3,294,460
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	762,166	12,771,568

კომპანიას სს ბაზის ბანკში ანაბარზე განთავსებული აქვს ფულადი სახსრები ლარში, დოლარსა და ევროში.

სს "ბაზის" ბანკში არსებულ ლარის დეპოზიტს საპროცენტო შემოსავალი ერიცხება 4%-ით რამაც 2018 წლის განმელობაში შეადგინა 39,621 ლარი. დოლარში განთავსებულ დეპოზიტს საპროცენტო შემოსავალი ერიცხება წლიური 1,75%-ით 3,853 ლარის ოდენობით ხოლო ევროში განთავსებულ დეპოზიტს საპროცენტო შემოსავალი ერიცხება წლიური 0,5%-ით 11,010 ლარის ოდენობით.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს "ფინკა ბანკი საქართველოში" საპროცენტო შემოსავალი ერიცხება ლარსა და ევროში განთავსებულ დეპოზიტებს. სს"ფინკა ბანკი საქართველოში" არსებული ლარის დეპოზიტს საპროცენტო შემოსავალი ერიცხება წლიური 5,64%-ით 1,047 ლარის ოდენობით, ხოლო სს"ფინკა ბანკი საქართველოში" არსებულ ევროს დეპოზიტს საპროცენტო შემოსავალი ერიცხება წლიური 0,1%-ით 167 ლარის ოდენობით.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მდგომარეობით ფული და ფულის ექვივალენტები ეროვნულ ვალუტაში, მოიცავს ბაზის ბანკში განთავსებულ ბლოკირებულ ფულად სახსრებს 3,294,460 ლარის, ხოლო უცხოურ ვალუტაში განთავსებული ფულად სახსრებს 6,581,328 ლარის ოდენობით. აღნიშნულ თანხები ხელმისაწვდომი გახდა მას შემდეგ, რაც კომპანიამ შეასრულა 2017 წელს გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოს მიმართ და მიაწოდა 9,444,464 ლარის ღირებულების 209,870 ლიტრი ინსექტიციდი.

4 მარაგები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
მასალები	10,972,628	8,334,526
მარაგები გზაში	338,093	-
დაუმთავრებელი წარმოება	136,574	489
სხვა მარაგები	22,949	4,383
სულ მარაგები	11,470,244	8,339,398

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

ქვემოთ წარმოდგენილია მასალების დეტალური ჩაშლა:

მასალები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
მცენარეთა დაცვა	2,678,532	2,584,131
სპეც-ტექნიკა და აღჭურვილობის ნაწილები	3,339,213	2,336,015
სასუქები	1,880,373	1,297,421
სათესლე მასალა	1,386,281	649,611
სათბურის აღჭურვილობა	897,139	182,597
სარწყავი სისტემები	413,662	433,858
სხვა	377,428	850,893
სულ მასალები:	10,972,628	8,334,526

მარაგები გზაში მოიცავს კომპანიის მიერ უცხოური მომწოდებლებისგან შესყიდულ მარაგებს. აღნიშნული მომწოდებლები კომპანიასთან თანამშრომლობენ ინკოთერმსის EXW პირობით დარეგულირებული ხელშეკრულების საფუძველზე, რაც გულისხმობს მყიდველისთვის ყველა რისკისა და ხარჯის დაკისრებას საქონლის გამყიდველისგან დანიშნულების ადგილზე მიტანამდე.

5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო მოთხოვნები	3,511,694	4,148,045
ავანსები	2,356,446	828,713
მოთხოვნები ბიუჯეტის მიმართ	480,536	-
სხვა მოთხოვნები	5,520	7,561
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,354,196	4,984,319
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(143,694)	(10,517)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,210,502	4,973,802

გაუფასურების ანარიცხის მოძრაობა წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდგენილია:

	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სულ
31 დეკემბერი 2016	-	-
შემცირება წლის განმავლობაში	-	-
დარიცხვა წლის განმავლობაში	10,517	10,517
31 დეკემბერი 2017	10,517	10,517
შემცირება წლის განმავლობაში	-	-
დარიცხვა წლის განმავლობაში	133,177	133,177
31 დეკემბერი 2018	143,694	143,694

ავანსები მოიცავს სასაქონლო მატერიალური ფასეულობებისათვის გადახდილ 1,443,768 ლარს (2017: 622,687 ლარი), ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილ 375,565 ლარს (2017: 60,000 ლარი) და სხვა წინასწარ გადახდებს 537,113 ლარს (2017: 146,026 ლარი).

მოთხოვნები ბიუჯეტის მიმართ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება: საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება 44,191 ლარი; დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივი 474,897 ლარი; ქონების გადასახადის ვალდებულება 50,500 ლარი და მოგების გადასახადის აქტივი 100,330 ლარი.

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

6 ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	მიწა	შენიშვნები	ძირითადი საშუალებები ექსპ. შესვლამდე	დაუმთავრებელი შენიშვნები	აგეჯი და ინვენტარი	მანქანა დანადგარები და აღჭურვილობა	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სასოფლო სამეურნეო ტექნიკა და სხვა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
2016 წლის 31 დეკემბერი	2,375,586	1,694,661	-	1,818,222	603,859	412,444	159,570	858,431	877,703	49,058	8,849,534
შეძენა	182,108	466,004	-	130,233	138,561	60,625	21,494	66,914	93,650	3,626	1,163,215
შიდა მოძრაობა	-	-	-	109,244	-	-	225	-	80,809	-	190,278
მარაგებიდან	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
შიდა მოძრაობა	-	1,829,304	-	-	-	-	-	-	38,358	-	1,867,662
გაყიდვა	(684)	-	-	-	(13,065)	(15,965)	(11,660)	(16,362)	(95,385)	-	(153,121)
შიდა მოძრაობა	-	-	-	(1,867,662)	-	-	-	-	-	-	(1,867,662)
2017 წლის 31 დეკემბერი	2,557,010	3,989,969	-	190,037	729,356	457,104	169,628	908,983	995,135	52,684	10,049,906
შეძენა	1,145	28,424	317,023	996,902	351,690	69,047	130,399	652,891	7,959	129,159	2,684,639
შიდა მოძრაობა	-	-	-	138,110	-	-	-	-	-	-	138,110
მარაგებიდან	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
გაყიდვა	-	-	-	(300)	-	-	(780)	-	-	-	(1,080)
2018 წლის 31 დეკემბერი	2,558,155	4,018,394	317,023	1,324,749	1,081,046	526,150	299,247	1,561,874	1,003,094	181,843	12,871,575
გვეთა და ამორტიზაცია	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
2016 წლის 31 დეკემბერი	-	(259,583)	-	-	(123,895)	(164,259)	(63,058)	(214,785)	(240,648)	(27,129)	(1,093,357)
გვეთა წლის მანძილზე	-	(75,864)	-	-	(78,798)	(55,210)	(28,040)	(81,595)	(113,844)	(10,427)	(443,778)
გაყიდული აქტივის	-	-	-	-	13,065	12,060	11,660	15,197	38,187	-	90,169
გვეთა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბერი	-	(335,447)	-	-	(189,628)	(207,409)	(79,438)	(281,183)	(316,305)	(37,556)	(1,446,966)
გვეთა წლის მანძილზე	-	(66,074)	-	-	(100,566)	(55,661)	(36,608)	(116,445)	(110,333)	(12,319)	(498,006)
გაყიდული აქტივის	-	-	-	-	-	-	670	-	-	-	670
გვეთა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	-	(401,521)	-	-	(290,194)	(263,070)	(115,376)	(397,628)	(426,638)	(49,875)	(1,944,302)
წმინდა საბალანსო	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
დირექტულები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
2016 წლის 31 დეკემბერი	2,375,586	1,435,078	-	1,818,222	479,965	248,185	96,512	643,646	637,054	21,929	7,756,177
2017 წლის 31 დეკემბერი	2,557,010	3,654,522	-	190,037	539,728	249,695	90,190	627,800	678,830	15,128	8,602,940
2018 წლის 31 დეკემბერი	2,558,155	3,616,872	317,023	1,324,748	790,852	263,080	183,871	1,164,246	576,458	131,968	10,927,273

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

2018 წლის განმავლობაში სრულად ამორტიზირებული სატრანსპორტო საშუალებების ღირებულებამ შეადგინა 79,886 ლარი (2017 - 75,886 ლარი), ავეჯი და სხვა ინვენტარის ღირებულებამ 1,422 ლარი (2017 - 1,000 ლარი), ოფისის აღჭურვილობის ღირებულებამ 25,829 ლარი (2017 - 2,834 ლარი), სერვისის ხელსაწყოების ღირებულებამ 32,281 ლარი და სხვა ძირითადი საშუალებების ღირებულებამ 5,474 ლარი (2017 – 102 ლარი).

2018 წლის განმავლობაში კომპანიამ გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში დაარიცხა ცვეთის ხარჯი 15,759 ლარი (2017: 19,346 ლარი)

7 არამატერიალური აქტივები

	ლიცენზიები	სხვა არამატერიალური აქტივი	არამატერიალური აქტივები ექსპლოატაციაში შესვლამდე	სულ
საბალანსო ღირებულება				
2016 წლის 31 დეკემბერი	31,398	47,287	-	78,685
შემენა	43,170	6,253	-	49,423
გაყიდვა	-	(5,132)	-	(5,132)
2017 წლის 31 დეკემბერი	74,568	48,408	-	122,976
შემენა	24,701	-	111,169	135,870
გაყიდვა	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	99,269	48,408	111,169	258,846
ამორტიზაცია და გაუფასურება				
2016 წლის 31 დეკემბერი	(13,629)	(16,863)	-	(30,492)
ამორტიზაციის ხარჯი	(32,893)	(3,717)	-	(36,610)
გაყიდულისა და ჩამოწერილის ამორტიზაცია	-	2,242	-	2,242
2017 წლის 31 დეკემბერი	(46,522)	(18,338)	-	(64,860)
ამორტიზაციის ხარჯი	(30,818)	(6,610)	-	(37,428)
გაყიდულისა და ჩამოწერილის ამორტიზაცია	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	(77,340)	(24,948)	-	(102,288)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
2016 წლის 31 დეკემბერი	17,769	30,423	-	48,192
2017 წლის 31 დეკემბერი	28,046	30,069	-	58,115
2018 წლის 31 დეკემბერი	21,929	23,460	111,169	156,558

კომპანია ფლობს შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებს: „1C“, „bpm online“.

2018 წლის განმავლობაში სრულად ამორტიზირებული არამატერიალური აქტივების ჯამურმა ღირებულებამ შეადგენდა 72,073 ლარი (2017 – 14,246 ლარი)

8 ბიოლოგიური აქტივები

საბალანსო ღირებულება	მზარდი ნამყენი	მსხმოიარე ნამყენი	სულ
2016 წლის 31 დეკემბერი	27,735	-	27,735
შესყიდვა	76,125	-	76,125
მზარდი ნამყენიდან მსხმოიარეში გადასვლა	(27,735)	27,735	-
გაუფასურება	(18,025)	-	(18,025)
2017 წლის 31 დეკემბერი	58,100	27,735	85,835
შესყიდვა	1,100	-	1,100
მზარდი ნამყენიდან მსხმოიარეში გადასვლა	(58,100)	58,100	-
გაუფასურების აღდგენა	11,033	-	11,033
2018 წლის 31 დეკემბერი	12,133	85,835	97,968

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

2018 წელს კომპანიის მიერ მსხმოიარე ნამყენებისაგან მიღებული მოსავლის რეალიზაციიდან გამომჟღავნებულმა შემოსავალმა შეადგინა 50,058 ლარი (2017 - 20,993 ლარი).

9 კაპიტალი

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ალექსანდრე ედიბერიძე.

2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით მფლობელთა კაპიტალი 2,000 ლარს (2017: 2,000). კომპანიის დამფუძნებლის მიერ კაპიტალში პირველადი შეტანა განხორციელდა 2005 წლის 16 თებერვალს. კაპიტალში შეტანილ იქნა ძირითადი საშუალებები რომელთა ღირებულება განისაზღვრა დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ კაპიტალში შეტანის თარიღში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებულმა გაუნაწილებელმა მოგებამ შეადგინა 22,607,450 ლარი (2017: 14,107,636 ლარი)

10 მოგების გადასახადი

კომპანიის მოგების გადასახადმა საანგარიშგებო პერიოდში შეადგინა 0 ლარი (2017: 0 ლარი)

2016 წლის 13 მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა, საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები კორპორაციული მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ, (ცნობილი, როგორც კორპორატიული საგადასახადო სისტემის ესტონური მოდელი), რომლის მიხედვითაც, დაბეგვრის მომენტი არის შემოსავლის მიღებიდან მის განაწილებამდე. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულების აღიარება რომელიც შემოსავლის განაწილების შედეგად წარმოიქმნება, არ მოხდება ფინანსურ ანგარიშგებაში.

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა დღგ-სთან დაკავშირებით დაამტკიცა, საქართველოს საგადასახადო კოდექსში სხვა ცვლილებები. 2017 წლის 1 იანვრიდან, დღგ-ით დაბეგვრას დაექვემდებარა საქონლის ან მომსახურების შემძენისაგან მიღებული ავანსები.

11 მიღებული სესხები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
მოკლევადიანი სესხები	3,435,478	8,112,577
გრძელვადიანი სესხები	2,730,247	1,971,240
სულ	6,165,725	10,083,817

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

მოკლევადიანი სესხები	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ძირის გადახდის პერიოდულობა	პროცენტის გადახდის პერიოდულობა	ვალუტა	თანხა ლარში
ხელშეკრულება N 2017-12-14/0074/CLN/062464/021	12/15/2017	12/15/2019	6.5%	განაღდების თარიღში	ყოველითვიური	ევრო	3,134,572
ხელშეკრულება N 2017-12-14/0075/BSN/062464/022	12/15/2017	9/12/2023	6.5%	ყოველითვიური	ყოველითვიური	ევრო	110,734
ხელშეკრულება N 2018-04-13/0039/APMA3/062461/029	4/13/2018	10/13/2023	11.5%	ყოველითვიური	ყოველითვიური	ლარი	174,973
სულ მოკლევადიანი სესხები							3,420,278
გადასახდელი ძირი							3,420,278
გადასახდელი პროცენტი							15,200
სულ მოკლევადიანი სესხები							3,435,478

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

მოკლევადიანი სესხები	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ძირის გადახდის პერიოდულობა	პროცენტის გადახდის პერიოდულობა	ვალუტა	თანხა ლარში
ხელშეკრულება N 2017-12-02/0028/DEPB/062464/020	4/12/2017	4/3/2018	3.5%	განაღდების თარიღში	ყოველითვიური	ევრო	1,556,221
ხელშეკრულება N 2017-12-14/0074/CLN/062464/021	15/12/2017	15/12/2018	6.5%	განაღდების თარიღში	ყოველითვიური	ევრო	6,223,706
ხელშეკრულება N 2017-12-14/0075/BSN/062464/022	15/12/2017	9/12/2023	6.5%	ყოველ-თვიური	ყოველითვიური	ევრო	332,650
სულ მოკლევადიანი სესხები							8,112,577
გადასახდელი ძირი							8,087,016
გადასახდელი პროცენტი							25,561
სულ მოკლევადიანი სესხები							8,112,577

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

გრძელვადიანი სესხები	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ძირის გადახდის პერიოდულობა	პროცენტის გადახდის პერიოდულობა	ვალუტა	თანხა ლარში
ხელშეკრულება N 2017-12-14/0075/BSN/062464/022	12/15/2017	9/12/2023	6.5%	ყოველთვიური	ყოველთვიური	ევრო	1,838,722
ხელშეკრულება N 2018-04-13/0039/APMA3/062461/029	4/13/2018	10/13/2023	11.5%	ყოველთვიური	ყოველთვიური	ლარი	891,525
სულ გრძელვადიანი სესხები							2,730,247
გადასახდელი ძირი							2,730,247
გადასახდელი პროცენტი							-
სულ გრძელვადიანი სესხები							2,730,247

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

გრძელვადიანი სესხები	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ძირის გადახდის პერიოდულობა	პროცენტის გადახდის პერიოდულობა	ვალუტა	თანხა ლარში
ხელშეკრულება N 2017-12-14/0075/BSN/062464/022	15/12/2015	9/12/2023	6.5%	ყოველთვიური	ყოველთვიური	ევრო	1,971,240
სულ გრძელვადიანი სესხები							1,971,240
გადასახდელი ძირი							1,971,240
გადასახდელი პროცენტი							-
სულ გრძელვადიანი სესხები							1,971,240

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

სესხის ხელშეკრულება N 2017-12-14/0075/BSN/062464/022, რომელიც გაფორმებულია კომპანიასა და სს ბაზის ბანკს შორის, წარმოადგენს სესხს, რომელიც ძალაშია 2023 წლის 9 დეკემბრამდე. 2018 წლის 31 დეკემბრისთვის ვალდებულება შეადგენდა 1,949,456 ლარს. სესხთან დაკავშირებული გადახდები იწყება 2018 წლიდან, 2018 წელს სესხზე დარიცხული პროცენტის ვალდებულება შეადგენს 9,151 ლარს, რომლის გადახდაც მოხდება 2019 წელს. 2018 წლის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო ხარჯი შეადგენს 148,593 ლარს. სესხის ძირისა და პროცენტის გადახდა უნდა მოხდეს ყოველთვიურად. აღნიშნული სესხი გამოყენებულ იქნა არსებული სესხის რეფინანსირებისათვის და ძირითადი აქტივების შესაძენად.

სესხის ხელშეკრულება N 2017-12-14/0074/CLN/062464/021, რომელიც გაფორმებულია კომპანიასა და სს ბაზის ბანკს შორის, წარმოადგენს საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებას რომელიც ძალაშია 2019 წლის 15 დეკემბრამდე. 2018 წლის 31 დეკემბრისთვის ვალდებულება შეადგენდა 3,134,572 ლარს. 2018 წლის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო ხარჯი შეადგენს 151,432 ლარს. სესხის ძირი თანხის დაფარვა უნდა მოხდეს ხელშეკრულების დასრულების თარიღამდე. სესხის თანხა გამოყენებულ იქნა მიმდინარე საკრედიტო ხაზის დასაფარად და საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად.

სესხის ხელშეკრულება N 2018-04-13/0039/APMA3/062464/029, რომელიც გაფორმებულია კომპანიასა და სს ბაზის ბანკს შორის, წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომელიც ძალაშია 2023 წლის 13 ოქტომბრამდე. 2018 წლის 31 დეკემბრისთვის ვალდებულება შეადგენდა 1,066,497.3 ლარს. 2018 წლის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო ხარჯი შეადგენს 139,466 ლარს. სესხის ძირისა და პროცენტის გადახდა უნდა მოხდეს ყოველთვიურად. 2018 წელს სესხზე დარიცხული პროცენტის ვალდებულება შეადგენს 6,048.36 ლარს. სესხი აღებულია ძირითადი საშუალებების შესაძენად.

12 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
მიღებული ავანსები	630,276	9,585,406
სავაჭრო ვალდებულებები	119,844	709,956
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	99,416	-
ვალდებულებები ბიუჯეტის მიმართ	-	342,843
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	849,536	10,638,205

ვალდებულებები ბიუჯეტის მიმართ 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება: საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება 25,171 ლარი; დამატებული ღირებულების გადასახადის ვალდებულება 380,239 ლარი; ქონების გადასახადის ვალდებულება 32,495 ლარი და მოგების გადასახადის აქტივი 95,062 ლარი.

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

13 შემოსავალი

	2018	2017
შემოსავალი რეალიზაციიდან	42,654,435	25,782,451
უსასყიდლო მიწოდება	164,463	112,222
სულ შემოსავალი	42,818,898	25,894,673

შემოსავალი რეალიზაციიდან მოიცავს შემდეგი საქონლის რეალიზაციას:

	2018	2017
მცენარეთა დაცვა	23,985,782	12,538,712
სპეციალიზირებული აღჭურვილობა	7,253,146	2,451,037
სასუქი	5,493,839	6,176,242
სათესლე მასალა	2,868,074	2,425,628
სათბურის მოწყობილობები	368,707	256,812
საირიგაციო სისტემები	240,052	298,222
სხვა	2,444,835	1,635,798
შემოსავალი რეალიზაციიდან	42,654,435	25,782,451

კომპანიამ პერიოდის განმავლობაში მოახდინა შემდეგი პროდუქციის მიწოდება უსასყიდლოდ:

	2018	2017
სპეციალიზირებული აღჭურვილობა	45,905	5,705
სათესლე მასალა	31,580	34,449
მცენარეთა დაცვა	4.09	10,052
სასუქი	-	1,349
საირიგაციო სისტემები	-	1,299
სათბურის მოწყობილობები	-	21
სხვა	86,974	59,347
სულ უსასყიდლოდ მიწოდება	164,463	112,222

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

14 ფასდათმობა და უკან დაბრუნება

ანგარიში მოიცავს უკან დაბრუნებას და ფასდათმობას შემდეგი პროდუქტების მიხედვით

	2018	2017
უკან დაბრუნება	153,834	60,000
საირიგაციო სისტემები	84,491	13,041
მცენარეთა დაცვა	53,813	16,891
სპეციალიზირებული აღჭურვილობა	6,433	9,293
სათესლე მასალა	4,091	4,428
სასუქი	1,929	14,894
სხვა	3,077	1,453
ფასდათმობა	50	3,510
მცენარეთა დაცვა	50	3,300
სასუქი	-	210
სულ უკან დაბრუნება და ფასდათმობა	153,884	63,510

15 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2018	2017
შესყიდული მარაგები	31,362,865	18,811,035
მარაგების კორექტირება	81,566	62,735
მომსახურების ხარჯი	59,282	44,732
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	31,503,713	18,918,502

	2018	2017
შესყიდული მარაგები		
მცენარეთა დაცვა	17,555,051	9,232,035
სპეციალიზირებული აღჭურვილობა	5,430,498	1,804,071
სასუქი	4,101,772	4,516,372
სათესლე მასალა	2,187,848	1,870,905
სათბურის მოწყობილობები	277,602	194,638
საირიგაციო სისტემები	160,794	208,435
სხვა	1,649,300	984,579
სულ შესყიდული მარაგები	31,362,865	18,811,035

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

16 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017
ხელფასები	1,943,884	1,575,213
ცვეთა და ამორტიზაცია	519,675	461,041
საწვავის ხარჯი	211,016	147,681
საგადასახადო ხარჯი	189,939	229,335
უიმედო ვალები	133,177	10,517
მივლინება	99,724	44,329
კომუნალური ხარჯი	95,727	80,156
წარმომადგენლობითი ხარჯი	76,498	75,937
ბანკის საკომისიო	71,453	55,852
დაზღვევა	57,954	49,099
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული სერვისის ხარჯი	54,639	75,476
დაცვა	49,705	47,115
საკომუნიკაციო	28,676	24,575
იჯარის ხარჯი	26,817	18,130
საკანცელარიო ხარჯი	6,874	56,443
სხვა	684,838	341,068
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	4,250,596	3,291,967

17 რეალიზაციის ხარჯები

	2018	2017
რეკლამა და პრომოუშენის ხარჯი	166,935	228,910
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯი	21,833	38,106
სხვა რეალიზაციის ხარჯი	44,864	21,489
სულ რეალიზაციის ხარჯი	233,632	288,505

18 ფინანსური შემოსავალი

	2018	2017
სუბსიდია	82,855	-
დეპოზიტები	55,698	31,589
სულ ფინანსური შემოსავალი	138,553	31,589

2018 წლის 31 დეკემბრისთვის ფინანსური შემოსავალი უკავშირდება სს "ბაზის" ბანკსა და ა(ა)იპ "სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს" შორის გაფორმებულ საკრედიტო ხელშეკრულებას (# 2018-04-13/0039/APMA3/062464/029), რომლის თანახმადაც სს "ბაზის" ბანკმა შპს "ნობლექსი" მისცა სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით. ა(ა)იპ "სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო" ანხორციელებს ბანკის მიერ გაცემულ კრედიტზე განსაზღვრული წლიური საპროცენტო განაკვეთის მიზნობრივ თანადაფინანსებას და კრედიტის უზრუნველყოფაში თანამონაწილეობას. წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 11.5%-ს. 2018 წლის 31 დეკემბრისთვის სუბსიდიის სახით მიღებულმა ფინანსურმა შემოსავალმა შეადგინა 82,855 ლარი.

დეპოზიტებიდან მიღებულ შემოსავალთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია იხილეთ განმარტებითი შენიშვნა N3-ში.

19 სხვა საოპერაციო შემოსავალი

სხვა საოპერაციო შემოსავალი მოიცავს მომწოდებლისგან მიღებულ ფასდათმობას 1,962,021 ლარის ოდენობით (2017: 942,894 ლარი), უსასყიდლოდ მიღებულ სასაქონლო მატერიალურ მარაგებს 109,471 ლარის ოდენობით (2017: 31,508 ლარი) და სხვა შემოსავალს - 16,963 ლარს (2017: 957 ლარი).

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

20 კურსთაშორის სხვაობით გამოწვეული ზარალი

	2018	2017
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	885,531	2,474,848
მიღებული სესხები	481,814	1,168,897
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	221,573	993,596
ფული და ფულის ექვივალენტები	125,612	305,218
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	56,532	7,137
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	895,142	2,841,096
მიღებული სესხები	214,075	1,522,743
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	196,530	1,015,880
ფული და ფულის ექვივალენტები	396,069	275,589
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	88,468	26,884
კურსთაშორის სხვაობა	(9,611)	(366,248)

21 პირობით ვალდებულებები

საოპერაციო იჯარის ვალდებულებები - კომპანია, როგორც მოიჯარე

	2018	2017
1 წლამდე	2,503	18,899
1-დან 5 წლამდე	71,920	71,920
სულ	74,423	90,819

22 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- **საკრედიტო რისკი:** დანაკარგის ალბათობა იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.
- **ლიკვიდურობის რისკი:** რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.
- **საბაზრო რისკი:** რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
 - საპროცენტო რისკი
 - სავალუტო რისკი

კომპანიის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ანხორციელებს კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით.

კომპანიის შედარებით მარტივი ოპერაციების გამო, არ არის რისკების საერთო მართვის თაობაზე წინასწარ დადგენილი პოლიტიკა.

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	762,166	2,895,780
ბლოკირებული თანხები	-	9,875,788
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,373,520	4,148,045
სულ ფინანსური აქტივები	4,135,686	16,919,613
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	219,260	709,956
მიღებული სესხები	6,165,725	10,083,817
სულ ფინანსური ვალდებულებები	6,384,985	10,793,773

საკრედიტო რისკი

კომპანია საკრედიტო რისკს აკონტროლებს ინდივიდუალურ მომხმარებლებზე ლიმიტების დაწესებით, რომლის დროსაც გამოიყენება სხვადასხვა სააგენტოების ინფორმაცია, მომხმარებლის საცხოვრებელი ქვეყნის მიხედვით. კომპანიას შემუშავებული აქვს კრედიტუნარიან კლიენტებთან საქმის წარმოების პოლიტიკა.

არ შეინიშნება საკრედიტო რისკების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფული და ფულის ექვივალენტები	749,122	2,895,780
ბლოკირებული თანხები	-	9,875,788
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,373,520	4,148,045
სულ	4,122,642	16,919,613

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით რეგულარული მონიტორინგის საშუალებით.

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1 – 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	762,166	-	-	762,166
ბლოკირებული თანხები	-	-	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,373,520	-	-	3,373,520
სულ ფინანსური აქტივები	4,135,686	-	-	4,135,686
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	3,435,478	2,730,247	-	6,165,725
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	219,260	-	-	219,260
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,654,738	2,730,247	-	6,384,985
ლიკვიდურობის პოზიცია	480,946	(2,730,247)	-	2,249,301

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1 – 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	2,895,780	-	-	2,895,780
ბლოკირებული თანხები	9,875,788	-	-	9,875,788
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,387,552	749,976	-	4,137,528
სულ ფინანსური აქტივები	16,159,120	749,976	-	16,909,096
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	8,112,577	1,521,251	449,989	10,083,817
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,052,800	-	-	1,052,800
სულ ფინანსური ვალდებულებები	9,165,377	1,521,251	449,989	11,136,617
ლიკვიდურობის პოზიცია	6,993,743	(771,275)	(449,989)	5,772,479

საპროცენტო რისკი

კომპანიას საპროცენტო რისკის საფრთხე ემუქრება მხოლოდ იმ ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, რომლებზეც მოქმედებს ფიქსირებული განაკვეთი. ჯგუფს არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები, დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები და დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებები (გადასახდელები) იწვევენ სავალუტო რისკს. რომელიც გულისხმობს უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკს.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტებს მიხედვით:

	ფული და ფულის ექვივალენტები	ბლოკირებული თანხები	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	მიღებული სესხები	სულ
ლარი	747,060	-	75,974	(197,864)	(1,072,546)	(447,376)
ევრო	4,821	-	3,292,125	(16,836)	(5,093,180)	(1,813,070)
აშშ დოლარი	10,155	-	-	(4,560)	-	5,595
სულ	762,036	-	3,368,099	(219,260)	(6,165,726)	(2,254,851)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტებს მიხედვით:

	ფული და ფულის ექვივალენტები	ბლოკირებული თანხები	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	მიღებული სესხები	სულ
ლარი	2,876,972	3,294,460	409,714	(446,557)	-	6,134,589
ევრო	15,686	6,581,328	3,494,829	(522,935)	(10,083,817)	(514,909)
აშშ დოლარი	3,122	-	232,985	(83,308)	-	152,799
სულ	2,895,780	9,875,788	4,137,528	(1,052,800)	(10,083,817)	5,772,479

შპს „ნობლექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

23 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება შემდეგია:

ხელფასები და ბონუსები	2018	2017
ხელფასები და ბონუსები	799,850	638,725

2018-სა და 2017 წლების განმავლობაში დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები და საბალანსო ნაშთები არ არის არსებითი.

24 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე, კომპანიის მიერ მფლობელზე გაცემულმა დივიდენდმა შეადგინა 1,120,842 ლარი.

მმართველობითი ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

შპს ნობლექსი - ს.ნ. 204471561 დაარსდა 2005 წლის თებერვალში.

პარტნიორი - ალექსანდრე ედიბერიძე (65001000147), 100%

დირექტორი - ალექსანდრე ედიბერიძე (65001000147)

სავაჭრო სახელი - „აგროსფერო“



ლოგო -

სლოგანი - აგროსფერო - თქვენი ბარაქიანი შემოდგომისთვის!

მისია

შპს „ნობლექსი“ 2005 წლიდან მოღვაწეობს აგრობიზნესში და დღესდღეობით წარმოადგენს ერთერთ უმსხვილეს სადისტრიბუციო კომპანიას ამ მიმართულებით, თბილისსა და კახეთში წარმოდგენილია მაღაზიათა ქსელით „აგროსფერო“.

ჩვენი მისიაა ხელი შევუწყოთ ქართველ ფერმერებს თავიანთ საქმიანობაში, გავუჩინოთ მოტივაცია, რათა სოფლის მეურნეობას მეტი ხალისით და ენთუზიაზმით ემსახურონ, საკუთარ მიწაზე მოიყვანონ ქართული მოსავალი, რომელიც მათი კეთილდღეობის საფუძველი და ფინანსური სიძლიერის გარანტი გახდება.

ჩვენი წარმატების საიდუმლო პროდუქციის ხარისხი, მომსახურების მაღალი სტანდარტი და ხელმისაწვდომობაა



პროდუქციის ხარისხი

მომხმარებელთა კომფორტისთვის „აგროსფერო“-ში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სრული სპექტრი გვაქვს წარმოდგენილი, რაც მათ საშუალებას აძლევს ყველაფერი ერთიან სივრცეში შეიძინონ, დაზოგონ დრო, ენერგია და მიიღონ მაღალკვალიფიციური კონსულტაცია, რაც საბოლოო ჯამში

საუკეთესო შედეგს განაპირობებს. ჩვენი პროდუქციის ასორტიმენტი მოიცავს: მცენარეთა დაცვის საშუალებებს, მინერალურ სასუქებს, აგროტექნიკას, სათესლე მასალას, წვეთოვანი მორწყვის სისტემებს, სამუშაო იარაღებსა და ფერმერისთვის საჭირო სხვა პროდუქციას, ასევე დანადგარებისა და დამხმარე მასალების ფართო სპექტრს ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების წარმოებისთვის. საქართველოში წარმოვადგენთ მსოფლიოს ლიდერ 20-ზე მეტ კომპანიას სხვადასხვა მიმართულებით: მცენარეთა დაცვის საშუალებები - Bayer AG, მინერალური სასუქები - Yara, სასოფლო სამეურნეო ტექნიკა - Claas, სათესლე მასალა - Rijk Zwaan, Nunhems, წვეთოვანი მორწყვის სისტემები - Irritec, ფილტრაციის სისტემები - Pall, მუხის კასრები და დამხმარე მასალები - Seguin Moreau და სხვა.

მომსახურების მაღალი სტანდარტი

„აგროსფერო“-ს მაღაზიათა ქსელში შეძენილ პროდუქციას, თან ერთვის მაღალკვალიფიციური კონსულტაცია, რომელიც მიმართულია საუკეთესო შედეგისკენ.

ჩვენი მიზანი მომხმარებლებისთვის შეთავაზებული მომსახურებით მიღებული საუკეთესო შედეგია, რადგან მნიშვნელოვანია, ურთიერთობა მომხმარებელთან ერთჯერადი მომსახურებით არ შემოიფარგლოს, არამედ გრძელვადიანი, საერთო შედეგზე ორიენტირებული პარტნიორობის სახე მიეცეს.

იმისათვის რომ სასურველ შედეგს მივაღწიოთ, მხარში ვუდგავართ ფერმერებს, ვახორციელებთ მათი მეურნეობების მონიტორინგს, ყოველთვის ადგილზე ვეცნობით არსებულ მდგომარეობას, ვუზიარებთ ჩვენს გამოცდილებას და ვეხმარებით მოსავლის დაგეგმვაში.


ფერმერის უხვი მოსავალი „აგროსფერო“-ს წარმატებაა!

ხელმისაწვდომობა

კომპანიის ცენტრალური ოფისი და საწყობი მდებარეობს თბილისში. პროდუქცია წარმოდგენილია „აგროსფერო“-ს სერვისცენტრებში და ოფიციალურ პარტნიორებთან, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

„აგროსფერო“ დაარსების დღიდან მუდმივად ვითარდება და განაგრძობს წინსვლას, დღეს შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ „აგროსფერო“ მომხმარებლებისთვის ასოცირდება პროფესიონალიზმთან და მაღალი ხარისხის პროდუქციასთან.

შპს ნობლექსში ძირითად გადაწყვეტილებებს იღებს დირექტორთა საბჭო, რომელთა შემადგენლობაა:



დირექტორატის მიზანი - ნობლექსის საქმიანობის შესაბამისობის უზრუნველყოფა მის მიზნებთან და სტრატეგიასთან ამოცანები

- 1.მმართველი გუნდის წევრებს შორის შეთანხმებული და მკაფიო სტრატეგიის არსებობა;
- 2.მთავარი ბიზნეს პროცესების უწყვეტობა და გამართული მიმდინარეობა;
- 3.სტრატეგიული ამოცანებისა და მიზნების შესაბამისი წლის სამოქმედო გეგმების არსებობა, განყოფილებების/სამსახურების დონეზე და მათი შესრულება.

დირექტორთა საბჭოს განსახილველი საკითხები

- 1.შეთანხმება მომავალი წლის მიზნებსა და ამოცანებზე, სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტის გზების დასახვა;
- 2.სტრატეგიიდან გამომდინარე, განყოფილებების/სამსახურების დონეზე სამოქმედო გეგმის განხილვა და დამტკიცება;
- 3.მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობის განხილვა;
- 4.ბიზნეს პროცესების შემუშავება/საჭიროებისამებრ მათში ცვლილებების შეტანა;
- 5.მიმდინარე პრობლემური საკითხების განხილვა, გადაწყვეტილების მიღება და აღსრულების მონიტორინგი;
- 6.სტრუქტურულ ერთეულებს შორის წამოჭრილი კონფლიქტური საკითხების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება, აღსრულების მონიტორინგი;
- 7.ბიუჯეტის დამტკიცება, მიმდინარე კონტროლი და ყოველთვიური გადახრების ანალიზი;
- 8.წლის ბოლოს ბიუჯეტის შესრულების შედეგების შეფასება: ფინანსური შედეგების შეფასება, შესრულებული სამუშაოების შეფასება, ჩამორჩენის / გადაჭარბების ანალიზი;
- 9.პროდუქტებისა და პროექტების ფინანსური / საინვესტიციო ანალიზი და გადაწყვეტილების მიღება;
- 10.შტატების დამატების საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;
- 11.მაღალი და საშუალო დონის პოზიციებზე კადრების დანიშვნის საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;
- 12.სხვა კოლეგიალური ორგანოების რეგლამენტის განხილვა და დამტკიცება;
- 13.სხვა კოლეგიალურ ორგანოებიდან ანგარიშების მოსმენა.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მაკონტროლებელია სურსათის ეროვნული სააგენტო, რომელიც ახორციელებს სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში არსებული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისობის დადგენას. ჩვენი კომპანია სრულად

ასრულებს კანონმდებლობის მოთხოვნებს და ახორციელებს საქართველოში რეგისტრირებული პესტიციდებისა და აგრიქიმიკატების იმპორტს, შენახვას და დისტრიბუციას; ბიზნეს ოპერატორის მოთხოვნებს; ასევე მკაცრად ვაკონტროლებთ პროდუქციის ხარისხს და ვარგისიანობის ვადებს, ქართულ ეტიკეტირებას და ა.შ.

გადასახადების კუთხით კომპანიის მთავარი პრიორიტეტია საქართველოს საგადასახადო კოდექსის და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნების ზედმიწევნით დაცვა.

კომპანიის განვითარების გეგმები

1. ასორტიმენტის განვითარება:
 - ✓ ახალი პროდუქტების შერჩევა
 - ✓ ახალი პროდუქტების დანერგვა
 - ✓ სწორი ფასდადება
2. ხარისხიანი მომსახურების უზრუნველყოფა
 - ✓ ოპერაციების შეუფერხებელი წარმოება
 - ✓ მიმდინარე მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა
 - ✓ მომსახურების ხარისხის კონტროლი და განვითარება
3. გაყიდვების სტიმულირება
 - ✓ ბრენდის განვითარება
 - ✓ სავაჭრო ქსელის განვითარება
 - ✓ მომხმარებლების მოზიდვა და მათთან ურთიერთობის განვითარება (როგორც კორპორატიული, ასევე საცალო გაყიდვების კუთხით)

კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა

კომპანიას კვლევები არ განუხორციელებია.

2018 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და ღონისძიებები:

- 1.) აგროსფერომ მოიპოვა „შვეიცარიის რეიტინგების ასოციაციის“ უმაღლესი ჯილდო - „წლის ლიდერი“!
- 2.) აშენდა მექანიზაციის ახალი სერვის ცენტრი თბილისში




3.) ლაგოდეხში მდებარე სერვისცენტრში განაზღვდა ინტერიერი და ექსტერიერი



4.) 29 მაისს, დედოფლისწყაროში “ხორბლის მინდვრის დღე 2018” გაიმართა. სადემონსტრაციო ნაკვეთში წარმოდგენილი იყო 8 სახეობის ხორბალი, 2 სახეობის ქერი და ტრიტიკალე.



5.) ლაგოდეხში, 11 ივნისს აგროსფეროს სადემონსტრაციო სათბურში “კიტრის სადემონსტრაციო დღე” გაიმართა.



კომპანიის წინაშე მდგარი ამოცანები:

1. კორპორატიული კლიენტების მოზიდვა და მათთან ურთიერთობის განვითარება
 - ✓ სპეციფიკის მიხედვით ოპტიმალური შეთავაზებების მომზადება და კომუნიკაცია;
 - ✓ მომხმარებლებთან უკუკავშირი;
 - ✓ არსებულ კლიენტებთან ურთიერთობის განვითარება;
 - ✓ ბრენდის ცნობადობისა და სანდოობის გაზრდა;
 - ✓ დილერების ქსელის გაფართოვება;
 - ✓ დილერებთან ურთიერთობის განვითარება.
2. მომსახურების მაღალი ხარისხი
 - ✓ კადრების შერჩევა და უწყვეტი სწავლება;
 - ✓ მომსახურების ხარისხის კონტროლი;
 - ✓ მომსახურების სტანდარტების განსაზღვრა და დანერგვა.
3. ოპერაციების შეუფერხებელი წარმოება
 - ✓ პროდუქციის მარაგებზე მოთხოვნებისა და პროგნოზების განსაზღვრა (გაყიდვების პროგნოზირების მიხედვით);
 - ✓ ლოჯისტიკის ეფექტური მუშაობა;
 - ✓ შესყიდვების განხორციელება;
 - ✓ საწყობებში და საწყობებს შორის მარაგების ეფექტიანი მართვა.
4. საცალო მომხმარებლების მოზიდვა და მათთან ურთიერთობის განვითარება
 - ✓ ქსელის გაფართოვება;
 - ✓ ბრენდის ცნობადობისა და სანდოობის გაზრდა;
 - ✓ პირდაპირი კომუნიკაცია;
 - ✓ უკუკავშირი მომხმარებლებთან;
 - ✓ კლიენტების მონაცემთა ბაზების განვითარება.
5. ასორტიმენტის განვითარება
 - ✓ ახალი პროდუქტების მოძიება და გაყიდვების პოტენციალის ანალიზი;
 - ✓ ახალი პროდუქტების დანერგვა;
 - ✓ არსებული პროდუქტების გაყიდვების ანალიზი და გამოუყენებელი პოტენციალის შეფასება;
 - ✓ ფასწარმოქმნა;
 - ✓ ახალი პროდუქტების რეგისტრაცია.
6. ქსელის განვითარება
 - ✓ პოტენციური რეგიონების/რაიონების გამოყოფა და სპეციფიკის შესწავლა;
 - ✓ არსებული მაღაზიების გაყიდვების ანალიზი რეგიონების/რაიონების მიხედვით;
 - ✓ ბაზარზე გაყიდვების ანალიზი;

- ✓ რაიონებში მაღაზიისთვის ტერიტორიის შერჩევა;
- ✓ მაღაზიების დაგეგმარება და სამშენებლო/სარემონტო სამუშაოების წარმოება.

7. ფინანსური ეფექტიანობის უზრუნველყოფა

- ✓ ბიუჯეტირება;
- ✓ ფინანსური და ოპერაციული რისკების მართვა;
- ✓ ახალი პროდუქტებისა და პროექტების ფინანსური საინვესტიციო ანალიზი;
- ✓ სწორი ფასწარმოქმნა;
- ✓ გამართული ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგება.

კომპანიის უახლოესი მიზნებია:

1. გაყიდვების გაზრდა
2. ბიზნესის ოპტიმიზირება, გაყიდვებისა და კლიენტებთან ურთიერთობის ტრენინგები/კვალიფიკაციის ამაღლება
3. ახალი პროდუქტების დანერგვა
4. თბილისში მექანიზაციის ახალი სერვის ცენტრის ამუშავება
5. ინტერნეტ მაღაზიის ამუშავება
6. ERP პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა

ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

შპს ნობლექს არ გააჩნია ფილიალები. აქვს საბითუმო საწყობი, სათაო ოფისი, რომელიც განთავსებულია მისამართზე: თბილისი, კახეთის გზატკეცილი 155

ასევე აქვს მაღაზიათა ქსელი შემდეგ მისამართებზე:

- 1) თბილისი, კახეთის გზატკეცილი 153
- 2) გურჯაანი, თავისუფლების 66
- 3) გურჯაანი, სოფ. ახაშენი (ცენტ. გზატკეცილი)
- 4) ყვარელი, მეურნეობის დასახლება
- 5) ლაგოდეხი, აფენის ბაზრობასთან
- 6) ლაგოდეხი, სოფ. ცოდნისკარი (ბაზრობასთან)

კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ

კომპანიის წინაშე არსებული მნიშვნელოვან რისკებს მიეკუთვნება ეროვნული ვალუტის რყევებით გამოწვეული სავალუტო რისკები, მითუმეტეს როდესაც მარაგების უდიდესი ნაწილი არის იმპორტირებული და მომწოდებლებთან ანგარიშსწორება გვიწევს უცხოურ ვალუტაში. აღნიშნული რისკის შესამცირებლად საქონლის კრედიტში გაყიდვის შემთხვევაში კლიენტებთან ხელშეკრულება უმეტესად იდება ვალუტაში და შესაბამისად ანგარიშსწორება ხდება ვალუტის შესაბამისი ექვივალენტით ლარში.

კომპანიას საქმიანობა უწევს საკმაოდ მაღალი კონკურენციის პირობებში, შესაბამისად არსებობს საბაზრო რისკიც. აღნიშნულის პრევენციისთვის კომპანია მუდმივად ზრუნავს შეინარჩუნოს მაღალი ხარისხი და იყოს ორიენტირებული მომხმარებლის კმაყოფილებაზე.

ასევე მნიშვნელოვანია დებიტორული დავალიანების ამოუღებლობის რისკი. აღნიშნული რისკის შესამცირებლად მუდმივად მიმდინარეობს მონიტორინგი და პრევენცია სხვადასხვა საშუალებებით.

საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

შპს ნობლექსს საკუთარი აქციები არ გააჩნია

ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.

შპს ნობლექსი თავის საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობას აფინანსებს როგორც საკუთარი, ისე ფინანსური ინსტიტუტებისაგან მოზიდული სახსრებით. შესაბამისად აქვს ფინანსური რისკები ამ მიმართულებითაც. აღნიშნული რისკის მართვასთან დაკავშირებით კომპანიის პოლიტიკა არის შემდეგნაირი: სესხის საჭიროების შემთხვევაში განიხილავს იმ დროისთვის საფიფანსო ბაზარზე არსებულ სიტუაციას და გადაწყვეტილებას იღებს საუკეთესო შეთავაზების სასარგებლოდ; ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მინიმიზაციისთვის კომპანიის რეგულარულ მომხმარებლებს მენეჯმენტის გადაწყვეტილებით წლის დასაწყისში უდგინდება საკრედიტო ლიმიტები, რომელიც შეტანილია პროგრამულად და გაყიდვების პერსონალს არ აძლევს მისი გადაჭარბების საშუალებას. ასევე ვიყენებთ საფინანსო ინსტიტუტების მომსახურებას საქონლის განვადებით გაყიდვისთვის. ამით შეძლებისდაგვარად ვზღუდავთ დებიტორული დავალიანების ზრდას; ვადაგადაცილებული დავალიანებების ამოღების მიზნით კომპანიის მხრიდან ხდება გაფრთხილება რამდენჯერმე, რისი უგულველყოფის შემთხვევაში იძულებულები ვართ მივმართოთ კანონით გათვალისწინებულ სხვა საშუალებებს, მათ შორის აღსრულების ეროვნულ ბიუროს. კომპანიაში დანერგილია შიდა კონტროლის მექანიზმები, რითიც ვახორციელებთ გარკვეულ რისკებთან დაკავშირებულ პრევენციას და კონტროლს. კვალიფიციური კადრების შერჩევისთვის მოქმედებს სისტემა, რომელიც რამოდენიმე ეტაპადაა დაყოფილი: 1) ვაკანსიის გამოცხადება; 2) პირველადი შერჩევა CV-ს საშუალებით; 3) გასაუბრება; 4) შერჩეული კანდიდატების აყვანა 3-6 თვიანი გამოსაცდელი ვადით. მხოლოდ ამ ეტაპების გავლის შემდეგ ხდება კანდიდატი კომპანიის შტატის თანამშრომელი. არსებული პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა მუდმივად ხდება სხვადასხვა ტრენინგი/სემინარების საშუალებით. თითოეულ თანამშრომელს გაწერილი აქვს მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები და ანგარიშვალდებულია მის უშუალო ხელმძღვანელთან. შესაბამისად ყველა არასტანდარტული შემთხვევა თანხმდება მასთან. გარდა ამისა თანამშრომლების მოტივაციისთვის მოქმედებს საბონუსო სისტემა და სხვა სამოტივაციო საშუალებები.

შიდა კონტროლის მექანიზმები, რომელიც გამოიყენება შეცდომით გამოწვეული უზუსტობების აღმოსაჩენად, პრევენციისა და შესამცირებლად, არის შემდეგი:

- 1) ნაღდი ფულის მოძრაობის და სალაროს ნაშთების მინიმუმამდე დაყვანა. ასევე სალაროს ნაშთების პერიოდული გადამოწმება;
- 2) რეალიზაციის შემთხვევაში ფასების ცვლილების აკრძალვა საცალო ინტერფეისში და გაყიდვების მენეჯერების მომხმარებლებისთვის;
- 3) ფინანსური მენეჯერის მხრიდან სპეციალური რეპორტებით კონტროლი სხვადასხვა ჭრილში. მაგ. თვითღირებულებაზე დაბალი ფასით ან დაბალი მარჟით გაყიდვების შემთხვევების გადამოწმება;
- 4) მარაგების პერიოდული ინვენტარიზაციები;
- 5) დებიტორ-კრედიტორებთან მოთხოვნა-ვალდებულებების კონტროლი;

დადებითი გარემო ფაქტორები

აგროსფეროს საქმიანობის სფეროდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ქვეყნისთვის პრიორიტეტულია სოფლის მეურნეობის განვითარება, რომელიც დადებითად ისახება როგორც ამ სფეროში მოღვაწე ფერმერისთვის, ასევე მიმწოდებელი კომპანიებისთვის. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის

სააგენტო ახორციელებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროექტებს: დანერგე მომავალი, აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა, შეღავათიანი აგროკრედიტი, აგროდაზღვევა, აწარმოე საქართველოში და სხვა (პროექტების სრულად ნახვა შესაძლებელია მისამართზე <http://apma.ge>). აღნიშნული პროექტები ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას სხვადასხვა მიმართულებებით, რომელიც დადებითად აისახება ამ სფეროში ბაზრის ზრდაზე.

დირექტორი

ალექსანდრე ედიბერიძე

ფინანსური დირექტორი

ნელი ხმელიძე